პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ს. კ. პ.
ცენტრალურ და თბილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ. წ. არ. და მატრ. ღვ. საბ.
ცაკის ორგანო.

რედაქცია: თბილისი, კრუზენ. ქ. № 4. მე 3 სართული

მთავარი კანტორა: თბილისი, რუსთაველის პრ. № 24 მე 2 სართული ტელეფ. 5—48

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა [illegible] დღეებისა 2-დან 3 საათამდე.

ტელეფ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივნის—1[illegible]

ხელის მოწერის თვიური ფასი: საქართველოში 100.000 მ. ა. ს. ს. ს. ხსვა საბჭოთა რესპუბლიკებში 625 მ. 1922 წ. ნიშნებით. განცხადება—10 ათ. მ. ნონპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 300 ათ. მ.

№ 286 ოთხშაბათი, 13 დეკემბერი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5.000 მან. № 286

დღიური

ბაქოში ათ დეკემბერს დიდი ზეიმით გაიხსნა ამიერკავკასიის საბჭოთა ყრილობა.

ახალგაზრდათა კომინტერნში: კამათი [illegible] მოხსენების შესახებ.

საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის დელეგაციები სტოვებენ ლოზანას.

მოსკოვის საბჭოს არჩევნების მეხუთე დღეს არჩეულია 197 კომუნისტი.

საქართველოს კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა
პარასკევს, 15 დეკემბერს,

ერთიან პარტიულ დღეს

დღის წესრიგში დასვან საკითხი კოოპერაციის შესახებ; თეზისები გაზეთებშია. ამხ. ერქომაიშვილის საინსტრუქციო მოხსენება მოხდება ხუთშაბათს, 14 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე ტ. კ. ბინაზე. (რუსთაველის პროსპ. 22) ყველა მიმაგრებულ ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

ტ. კ. მდივანის მაგიერ რუბენი.

თეზისები კოოპერაციის შესახებ

1. პროლეტარიატის დიქტატურის დროს სოციალურ-პოლიტიკურ ურთიერთობათა ახალ ფორმების დაწესება, აუცილებლად მოითხოვს კოოპერაციის აღმშენებლობის როლის ხასიათის და ფორმების გადასინჯვას და შეცვლას.

2. ფეოდალურ-ბურჟუაზიულ წესწყობილებისაგან მშრომელთა ხელისუფლებამ მიიღო მემკვიდრეობის სახით კოოპერაციის 3 ძირითადი სახე: 1) მომხმარებელი, 2) სასოფლო მეურნეობის და საკრედიტო და 3) შინამრეწველობის.

3. ყველა ამ ორგანიზაციების დამახასიათებელ თვისებას შეადგენს ის, რომ ისინი არიან კაპიტალისტურ ურთიერთობათა ნაყოფი წარმოებ სა და გაცვლა-გამოცვლაში, და მათ თავის მიზნათ აქვთ დასახული თავიანთი მონაწილეების დაცვა საშუამავლო კაპიტალის ექსპლოატაციის ამა თუ იმ სახისაგან, არიან რა ამავე დროს დამოკიდებული მსხვილ კაპიტალზე, რომელიც ითმენს მათ არსებობას და იყენებს მათ თავის ინტერესებისათვისაც.

4. რევოლიუციონური სოციალიზმი ამჟღავნებდა ოპორტიუნისტების ცდას შეეცვალათ კლასიური ბრძოლა კოოპერატიული მოძრაობით და იდგა რა მარქსის თვალსაზრისზე, უარყოფდა კოოპერაციის უნარიანობას შეეცვალა კაპიტალისტური წესწყობილება სოციალისტურზე რევოლიუციის და პროლეტარიატის მიერ ძალაუფლების ხელში ჩაგდების გარეშე.

5. რევოლიუციის დაწყების და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ კოოპერაციის როლი და ხასიათი ერთბაშად იცვლება. აქ კოოპერაციის მოღვაწეობა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება იმ მხრივ, რომ იგი უფრო წარმატებით აბამს კოლექტიურ შემოქმედებაში წვრილ გლეხების ფართო მასებს და იჭრება სახალხო მეურნეობის ისეთ დარგებში, რომელზედაც ვერ აღწევს თავის გავლენას სოციალისტური სახელმწიფო, ამიტომ არის, რომ სოციალიზმზე გარდამავალ ხანაში, ძალა-უფლების ხელში ჩაგდების და თავისი დიქტატურის დამყარების შემდეგ, პროლეტარიატი კი არ სპობს კოოპერაციას, არამედ პირიქით, ცდილობს ფართოდ მის განვითარებას და გაუმჯობესებას, აქცევს რა კოოპერაციას სოციალისტურ აღმშენებლობის იარაღად.

6. ახალ ეკონომიურ პოლიტიკას პირობებში, როდესაც საბჭოთა ხელისუფლება ნაციონალიზაცია მოხდენილ მეურნეობის (სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმის სისტემის) გვერდით ანიჭებს თავისუფლებას კერძო სამეურნეო ბრუნვას, კოოპერაციას ეძლევა მეტი დამოუკიდებლობა, როგორც აღმშენებლობაში, ისე სამეურნეო მოღვაწეობაში, მაგრამ იმ შემთხვევაშიაც კი, როდესაც კოოპერაცია ორგანიზაციულად ეყოფა სახელმწიფოებრივ აპარატს, ფაქტიურად მან უნდა შეუთანხმოს თავისი გეგმები საბჭოთა ხელისუფლების სამეურნეო მოღვაწეობის გეგმას —მან დახმარება უნდა გაუწიოს სახელმწიფოს და სახალხო მეურნეობის კოლექტივიზაციას, განადგურებულ ინდივიდუალურ მეურნეობათა მოსაქცევად ორგანიზაციულ საზოგადოებრივ მეურნეობის სისტემაში.

7. გადავდივართ რა საქართველოს კოოპერაციის მდგომარეობის კონკრეტიულ საკითხზე, საჭიროა აღინიშნოს, რომ ძველ კოოპერატიულ იდეოლოგიაზე აღმოცენებული და მშვიდობიან რეფორმისტულ პოლიტიკის პირობებში განვითარებული საქართველოს კოოპერაცია აღმოჩნდა შინაგან ძალას მოკლებული გარდამავალ ხანაში კოოპერაციის რევოლიუციონურ მნიშვნელობის შესათვისებლად და ამიტომ დარჩა პასიური ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებისადმი და დაჰკარგა აქტიური როლი საბჭოთა აღმშენებლობის სფეროში.

8. ამავე დროს კი საბჭოთა ხელისუფლება, დიდათ აფასებს რა კოოპერაციის როლს სახალხო მეურნეობის აღდგენის და ინდივიდუალურ მეურნეობის კოლექტივიზაციის საქმეში, განსაკუთრებით დაინტერესებულია კოოპერატიულ აპარატების დახმარებით თავის ღონისძიებათა გატარების დროს. ამიტომ იცავს რა კოოპერაციის აღმშენებლობის ძირითად პრინციპებს, თავისუფლებას და თვითმოქმედებას—საბჭოთა ხელისუფლება კოოპერაციის საბჭოთა ორგანოების სისტემაში მოსაქცევად და კოოპერაციულ აღმშენებლობაში გეგმა შეწონილობის და ძალების და საშუალებათა მომჭირნეობის შესატანად, საკანონმდებლო ღონისძიებათა და ორგანიზაციულ ძალ-ღონის საშუალებით უნდა გადააქციოს კოოპერაცია საბჭოთა აღმშენებლობის იარაღად და შეიყვანოს იგი განსაზღვრულ საორგანიზაციო სისტემაში. ცდილობს რა ყველა მშრომელთათვის ერთიან მუშურ გლეხური კოოპერაციის შექმნას, საბჭოთა ხელისუფლებას გარდამავალი ხანის პირობებში, კლასთა ბრძოლის გამწვავების დროს შესაძლებლად მიაჩნია კლასიურ მუშათა კოოპერაციის შექმნა, მაგრამ უზრუნველყოფს იმავე დროს მუშათა კლასისათვის პირობებს მთელი კოოპერაციის აღდგენისა და ხელმძღვანელობისათვის.

9. რამდენადაც საბჭოთა ხელისუფლების ეხლანდელი მდგომარეობა პირველ რიგში აყენებს სასოფლო-მეურნეობის საკითხებს, იმდენად სასოფლო მეურნეობის და შინა მრეწველობის კოოპერაციამ უნდა დაიჭიროს მნიშვნელოვანი ადგილი საბჭოთა ხელისუფლების პრაქტიკულ პოლიტიკაში.

10. გლეხური მეურნეობის მოხმარების ტიპამდე შემცირების ტენდენცია, რომელიც ნათლად გამოაშკარავდა იმპერიალისტურ ომის და მის მიერ გამოწვეულ ეკონომიურ კრიზისის დროს, უდიდეს საფრთხეს წარმოადგენს მრეწველობისათვის, რომელსაც შეიძლება სრულიად მოესპოს ნედლი მასალის და სურსათის მიწოდება. ამ ტენდენციასთან ბრძოლა შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების მორიგ ამოცანას.

11. ასეთსავე როლს თამაშობს კოოპერაცია შინა მრეწველობაში. აქ მისი მოღვაწეობის შედეგები განსაკუთრებით დიდი ღირებულების შეიძლება შეიქნეს ამ ჟამად, როდესაც მრეწველობის კრიზისიართმევს სოფელს სოფლის მეურნეობისათვის საჭირო იარაღებს და პროდუქტებს, მაშინ, როდესაც სოფლის მეურნეობის უმთავრეს წყაროს შეადგენს ადგილობრივი მრეწველობა.

12. გავაერთიანებთ რა კოოპერაციის აღმშენებლობის ზემოდ ჩამოთვლილ პრინციპებს ერთ მთლიან ორგანიზაციულ სისტემაში, საქართველოში კოოპერაციის აღმშენებლობის სქემა წარმოგვიდგება შემდეგი სახით:

კოოპერაციის მთელ სისტემას საფუძვლად დაედება საერთო-სამოქალაქო მომხმარებელი კოოპერაცია, რომელიც აერთიანებს ერთის მხრივ გლეხობას, და მეორე მხრივ ქალაქის არამუშა მომხმარებელთ.

— საერთო სამოქალაქო კოოპერაციის ირგვლივ მოეწყობა როგორც კოოპერაციის დამოუკიდებელი შტოები, კოოპერაციის სპეციალური სახე—მუშათა მომხმარებელი კოოპერაცია, სასოფლო სამეურნეო და შინა მრეწველობის კოოპერაცია.

თვითეულ ზემო აღნიშნულ შტოებს აქვს იურიდიულად დამოუკიდებელი პირველადი კოოპერატივები, თავისი ყრილობა საერთო რესპუბლიკის მაშტაბით, ირჩევს ხელმძღვანელ ორგანოებს და ეწყობა ავტონომიურ საფუძველზე საქართველოს ცენტრალურ კოოპერატიულ კავშირთა არსებულ სექციის სახით (ცეკავშირი).

ორგანიზაციულ დამოკიდებულების საერთო-სამოქალაქო კოოპერაციასთან ისინი ახორციელებენ თავიანთი წარმომადგენლების საშუალებით საერთო კოოპერატიულ ყრილობაზე, რომელიც წარმოადგენს მთელი კოოპერატიული სისტემის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს.

13. რამდენად ახალი ეკონომიური პოლიტიკა იძლევა განსაზღვრულ თავისუფლებას კოოპერაციის აღმშენებლობისა და სამეურნეო მოღვაწეობისათვის, იმდენად ზემოდ აღიარებული პრინციპები საბჭოთა ხელისუფლების კოოპერატიულ პოლიტიკისა არ შეიძლება გატარებული იქნეს სახელმწიფოებრივ ძალდატანების ზომებით. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ საქართველოს კოოპერაცია აწარმოებს მუშაობას საბჭოთა წყობილებამდე არსებულ კოოპერატიულ კანონმდებლობის ჩარჩოებში, ამასთან მან შეინარჩუნა ძველი კაპიტალისტური კოოპერაციის ორგანიზაციული და იდეოლოგიური ნაშთები.

14. საკითხები საბჭოთა გზაზე საქართველოს კოოპერაციის დაყენების შესახებ, უნდა გადაჭრილი იქნეს კოოპერატიულ აპარატზე არა პირდაპირი ორგანიზაციული და იდეიური ზეგავლენის ზომებით.

ამ მიზნისათვის ყველაზე უფრო გამოსადეგია პარტია, რომელიც აქტიურ ორგანიზაციული და იდეური მუშაობით—პარტიულ მუშაკების მობილიზაციით, მათი მომზადებით და ჩაყენებით კოოპერატიულ აპარატებში ახორციელებს საბჭოთა ხელისუფლების ამოცანებს კოოპერაციის დარგში.

ს. კ. პ. ტფილისის კომიტეტის საагიტაციო საპროპაგანდო განყოფილება.

ქალაქთა მოსახლეობის კვების გამოკვლევა

ჩვენმა ახალგაზრდა სტატისტიკამ და მასში ჩაბმულმა ახალგაზრდა ძალებმა პირველი ურთულესი და მძიმე გამოცდა ჩინებულათ ჩაატარეს. 30 ნოემბრის დილის 9 საათიდან დაწყებული ერთდღიური ქალაქთა მოსახლეობის აღწერა უკვე დამთავრებულათ უნდა ჩაითვალოს. ამ ნაირათ, **ჩვენ ხელთა გვაქვს უმნიშვნელოვანესი და უძვირფასესი მასალა ჩვენი ქალაქების სინამდვილის, ჩვენი ყოფა ცხოვრების და მისი ვითარების შესასწავლათ.**

ეხლა ჯერი მის დამუშავებაზეა და მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ისიც ისევე ჩინებულათ იქნება ჩატარებული, როგორც თვით აღწერა, მხოლოდ საქმე ეხლა მის დასამუშავებელ სახსრის გაღებაზეა დამოკიდებული რასაკვირველია, ის ვინც სთქვა ანი, იტყვის ბანსაც და გაიღებს სათანადო სალსარს. აქ კი, მის დამუშავებაში ხელმეორედ დავინახავთ ჩვენი ახალგაზრდა სტატისტიკოსთა საქმის სიყვარულს, ენერგიას, და დასახულ მიზნისთვის, ჩვენი ქვეყნის ყოფა-ცხოვრების შესწავლისათვის, დაუზოგველ შრომას,

დიახ, აღწერა დამთავრებულია, მაგრამ მით არ ამოწურულა სტატისტიკოსთა უახლოესი მიზანი. ეხლა მათ უხდებათ გაორკეცებული მზადება, უხდებათ მეორე არა ნაკლებ მნიშვნელოვან სტატისტიკურ მუშაობის ჩასატარებლათ, ქალაქთა მოსახლეობის კვების გამოსარკვევათ. ეს დიდმნიშვნელოვანი საქმეც იმედია ისევე წარმატებით იქნება ჩატარებული, როგორც მოსახლეობის აღწერა.

მაგრამ რას ნიშნავს მოსახლეობის კვების გამოკვლევა, რა მიზნები აქვს მას, რა წესით უნდა იქმნას იგი წარმოებული და რისთვის, აი ის საკითხები, რომელიც უსათუოთ წამოეჭრება მკითხველს. ამ მხრივ უნდა აღვნიშნო, რომ თუ სასოფლო მეურნეობის და მოსახლეობის აღწერებს ჩვენში რაიმე ტრადიცია მოეპოვებოდა და ჩვენი ხალხის უმეტესობას მასზე ოდნავი წარმოდგენა მაინც ჰქონდა, ეს სამუშაო-კვების გამოკვლევა სრულიად ახალი რამ არის და ამიტომ, მისი მიზნების განმარტვას, მისი შინაარსის გაზეთების ფურცლებზე გამოტანას უსათუოდ დიდი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს მუშაობის ჩასატარებლათ.

ხანგრძლივმა მსოფლიო ომმა და მის შემდეგ მომხდარმა რევოლიუციამ არსებითად შესცვალა ის ურთიერთობა, რომელიც არსებობდა ძველათ წარმოების და მოთხოვნილების შორის—თავისუფალ გაცვლა-გამოცვლის სახით. დღეს ეს შესამჩნევათ გამოცვლილია და მის მაგიერობის გაწევას აღრიცხული მეურნეობით შეცვლის ფერადები ახასიათებს; ის, რაც ძველათ თავის-თავათ ხდებოდა, დღეს სხვა წესით ეწყობა ყველა საქმის მიზანშეწონილათ ჩატარებას, ხომ არსებულის განჭვრეტა ესაჭიროება? ჯერ-კიდევ ომის მსვლელობაში იყო შეგნებული ამის საჭიროება და სათანადო წესით და სიმტკიცით ჩატარებულ სანიმუშო სურათს, ხომ ომის დროის გერმანია იძლეოდა, რომლის მამოძრავებელი მექანიზმის მთელი უჯრედები და ენერგია ერთი სულით და ერთი მიზნით იყო შეპყრობილი.

მეცნიერების და პრაქტიკის მიერ უკვე ცნობილი და გამოკვლეულია ის ფიზიოლოგიური ნორმები, რომელიც ადამიანს ესაჭიროება თავის ყოველდღიურ სხვა და სხვა გვარ სამუშაოთა შესასრულებლათ. იგი ამბობს, რომ მუშა მამა კაცს ესაჭიროება ისეთი კვება, რომელიც მას ყოველ დღიურათ მისცემს 2,600—3000 კალორამდის. (კალორი არის ორგანიზმისათვის საჭირო სითბოს საზომის ერთეული). ამნაირათ ჩვენ ვიცით ის რაოდენობა კალორების, რომელიც ესაჭიროება ადამიანს საშუალოდ, მაგრამ იგი ურყევ რამეს არ წარმოადგენს, იგი ცვალებადია წლოვანების, ჰავის, ადგილმდებარეობის და მუშაობის გვარეობის მიხედვით და თუ ძუძუ მწოვარა ბავშვს ესაჭიროება 344 კალორი, ეს არის მინიმუმი, მისი მაქსიმუმი, რასაკვირველია, ზევით წავა და ძალიან მძიმე შრომის შემსრულებელ მუშისათვის საჭიროება უკვე 4,500—5,000 კალორის უდრის.

რასაკვირველია, სითბოს ეს რაოდენობა ადამიანმა უნდა მიიღოს კვებისგან, ე. ი. ყოველდღიურათ იხმაროს იმდენი რაოდენობა საჭმელი, რომელიც მისცემს მას დახარჯული ენერგიის აღდგენის მასალას, მაგრამ კვება უნდა იყვეს არა მხოლოდ დამაკმაყოფილებელი, არამედ სწორიც, ნორმალურიც ე. ი. სხვა და სხვა საჭმელის მოხმარების შორის უნდა დაცულ იქნას ერთგვარი პროპორცია. მართალია, ერთი გირვანქა პური აძლევს ადამიანს 400 კალორიამდის, ერთი გირვანქა ერბო 3,500 კალორიაზე მეტს და სხვა, მაგრამ ვინ ჩასთვლის კვებას ნორმალურათ, რომ ადამიანმა საჭირო ენერგიის მისაღებათ თავის საკვებათ მხოლოდ აირჩიოს საგანთა ერთი გვარი ჯგუფი და მასზე დაამყაროს თავისი სვე-ბედი. საქმე ის არის, რომ სანოვაგე სხვა და სხვა პროპორციით შეიცავს კვების მთავარ ელემენტებს, როგორიც არის ცხიმი ნახშირბადი და ლილა და მათი მიღება, რომ სხვა და სხვანაირი ურთი-ერთობით ხდება თვითეულ სანოვაგიდან.

ამნაირად ჩვენ ვიცით კვების თეორიული მხარე—კვების ფიზიოლოგია, ვიცით სანოვაგის ის საჭირო რაოდენობა, რომელიც უნდა იქნას მოხმარებული ადამიანის მიერ თავის ორგანიზმის დასაცავად, მაგრამ აღარ ვიცით ის, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება დღეს ის სინამდვილეში, რამდენად არის იგი ნორმალურ კვებისაგან გადახრილი და თუ გადახრას ადგილი აქვს, რა მხრივ. ამის გაგებას-კი დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს ჩვენ წარმოებითი და მომმარაგებელ-განმანაწილებელ ორგანოთა პრაქტიკულ საქმიანობაში, რასაკვირველია, იმავე მოსახლეობის კეთილდღეობისათვის, რომელმაც ჩვენ უნდა მოგვცეს საჭირო ცნობები საკითხის გასაშუქებლათ და მის ყოველმხრივ შესასწავლათ.

დიახ, სტატისტიკას სურს შეისწავლოს მოსახლეობის კვების თანამედროვე მდგომარეობა, განსჭვრიტოს მისი ყოველი მხარე, აღნიშნოს მისი უტყუარი სურათი, გამოარკვიოს მისი უმთავრესი მხარენი და მით მისცეს, როგორც ზევით აღვნიშნე, სათანადო ორგანოებს საჭირო ცნობები თავის მომავალ პრაქტიკული გეგმის შედგენის დროს სახელმძღვანელოთ და ხალხის საკეთილდღეოთ.

ამნაირათ, აქ იმალება ინტერესი თვით ხალხის, მისი მომავალი კეთილდღეობის მოწყობის და სათანადო ორგანოთათვის საჭირო სახელმძღვანელო მასალის მიცემის; აქ არის ჩამარხული მნიშვნელობა დასახული მიზნის და ჩემი რწმენაა, რომ იგი შეგნებული იქნება თვითეულ იმათგან, ვისზედაც ბედი შეაჩერებს კვების დაკითხვას.

ვსთქვი ბედი შეაჩერებს მეთქი, იმიტომ, რომ ეს გამოკვლევა არ არის მასიური ე. ი., იგი არ ეხება ყველა მოქალაქეს, როგორც ადგილი ჰქონდა ჩატარებულ ქალაქთა მოსახლეობის აღწერაში, ეს მეტად რთული და შეუძლებელი იქნებოდა. კვების გამოკვლევა მოხდება სტატიკის მიერ ხმარებულ ერთ ერთ მეთოდით, სახელდობრ მექანიკური ანუ შერჩევითი წესით.

რა წესია ეს წესი და როგორ უნდა იქნეს ის გაგებული მოქალაქეთა მიერ?

ის არის ისეთი წესი, რომელიც არ ეძებს არც პეტრეს, არც პავლეს, არამედ სრულიად შემთხვევით შეხვდება რომელიმე ოჯახს და იგი გახდება დაკვირვების ობიექტი.

ჩვენი ქალაქებისათვის, მათი სიდიდის და მოსახლეობის მიხედვით, სტატისტიკის მიერ გამომუშავებულია სხვა და სხვა პროცენტი დაკვირვების ერთეულათ რაოდენობას. მაგალითად, თბილისში უნდა გამორკვეულ იქნას მხოლოდ 1,3 პროც. მთელი არსებული ბინების, ბათომში, ქუთაისში, სოხუმში და ფოთში 2 პრ. და დანარჩენ ქალაქებშიც 4 პროც ამნაირათ, პროცენტი დაკვირვების ერთეულთა თუმცა მკაცრათ არის განსაზღვრული, მაგრამ ეხლა საკითხი იმდება იმაზე, თუ როგორ განხორციელდება იგი სინამდვილეში კვების ინსტრუქციის მიერ ეს მხარეც არის გათვალისწინებული. აღწერის დროს მიღებული მასალა ლაგდება სააღწერო უბნების თანამიმდევრობით თვითეულ სააღწერო რაიონში, თუ ქალაქში ასეთები იყო და შემდეგ ითვლება საცხოვრებელი ბინები. ბინების დათვლის დროს კვების დაკვირვება უნდა მოხდეს ისეთ ბინაზე, რომელიც იქნება, თბილისში სამოცდა მეთხუთმეტე, ბათომში, სოხუმში, ქუთაისში და ფოთში ორმოცდა მეათე და დანარჩენ ქალაქებში კი ოცდა მეხუთე. ამნაირათ, აქ კვების დაკვირვების ოჯახი სრულიად მექანიკურად ირჩევა და აქედან მოქალაქეთათვის ცხადი უნდა გახდეს ის უშიშროება, რომელსაც წარმოადგენს მათი კვების გამორკვევა. იმ შემთხვევაში თუ ბინაში სცხოვრობს რამდენიმე ოჯახი, მაშინ მათ შორის ირჩევა ისეთი, რომელიც მრავალ წევრიანია და კვებითაც შინ მომზადებულ საჭმლით საზრდოობს. თუ წინ ნახტომი ბინა კვებისთვის აღნიშნულ ნიშნების გამო გამოუსადეგარია, მაშინ არჩევანი ხდება მის მიმდევარ ან მის წინა ბინას, მაგალითად თბილისში 74 ან 76, ბათომში, სოხუმში, ქუთაისში და ფოთში 49 ან 51 და დანარჩენ ქალაქებში 24 ან 26. ამნაირათ, წესი გამოსაკვლევი ბინის მექანიკურად ამორჩევის თავიდან ბოლომდე მკაცრათ არის დაცული და მისი ობიექტიურობა ეჭვს გარეშე რჩება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გამოსაკვლევი ოჯახის გვარი, სახელი და ვინაობის მიცემა, სრულიად ნებაყოფლობითია ოჯახისათვის და იგი მოქალაქეთა არავითარ ვალდებულებას არ შეადგენს.

ამნაირათ, ეს გამოკვლევა, ისევე როგორც ყოველივე სტატისტიკური კვლევა ძიება მოსახლეობის ინტერეს, მის კეთილდღეობას, მის ჭირვარამზე მალამოს დადებას ისახავს მიზნათ და ჩემი ღრმა რწმენაა, რომ თვითეული ჩვენგანი ისეთივე შეგნებული შეხვდება ამ საკითხის შესწავლას, როგორსაც ადგილი ჰქონდა ჩატარებულ ქალაქთა მოსახლეობის აღწერის დროს.

მაშ მეტი ნდობა, მეტი ყურადღება და მეტი უტყუარობა კვების კვლევის დროს და მით ხელის შეწყობა მოქალაქეთა კეთილდღეობის და მათი ინტერესისთვის.

მოქალაქენო! სტატისტიკა არის თქვენი. მისი წარმომადგენლები მოდიან თქვენ ბინაზე და მიეცით მათ უტყუარი ცნობები თქვენსავე სასარგებლოთ.

ლ. კარ—დი.

რადიო-დეპეშები

კონფერენცია განიარაღების შესახებ

მოსკოვი. 12 დეკემ. პოლონეთის პრესა წერილებში განიარაღების კონფერენციის შესახებ, მიჰყვება რა საგარეო საქმეთა სამინისტროს დირექტივებს, ცდილობს დაამტკიცოს, რუსეთის არა გულწრფელობა. უკანასკნელ დღეებში პოლონეთის პრესას ეჩვენება მეტი ოპტიმიზმი კონფერენციის შედეგების მიმართ.

— ფინეთის გაზეთის „უუსი“ ცნობით მოსკოვის კონფერენციაზე პოლონეთის დელეგაციის თავმჯდომარემ განუცხადა ლატვიის პრესის წარმომადგენელს, რომ ფლოტის საკითხში პოლონეთი მხარს დაუჭერს ბალტიის სახელმწიფოების თვალსაზრისს.

— ნორვეგიის გაზეთი „სოციალდემოკრატენი“ აღნიშნავს მოსკოვის კონფერენციის მნიშვნელობას ფინეთის მონაწილეობის გამო და სწერს: იმ შემთხვევაში თუ კონფერენცია უშედეგო იქნება, მუშათა კლასი უნდობლობით შეხედავს ფინეთს, ვინაიდან რუსეთში ის ხედავს მუშათა კლასის მეგობარს, მცირე სახელმწიფოების მშვიდობიანობის დამცველს.

ლოზანის კონფერენცია

ისმეტ-ფაშას მოთხოვნილებათა შვიდი მუხლი.

ლოზანა, 10 დეკემ. სრუტეების კომისიის საღამოს სხდომაზე ჩიჩერინმა გააფრთხილა რუმინია, რათა ის არ გახდეს მეორე საბერძნეთი და არ ითამაშოს დასავლეთის სახელმწიფოების იარაღის როლი.

მან მოითხოვა რეჟიმი, რომელიც აღიარებს ოსმალეთის დამოუკიდებლობას.

იაპონიის წარმომადგენელი ბარონი ჰაიაშა შეუერთდა ამერიკის თვალსაზრისს კარების ღიების პოლიტიკის შესახებ.

ლორდ კერზონმა, ჩიჩერინის წინადადების საპასუხოდ, წინადადება მისცა ოსმალოებს გამოეთქვათ თავიანთი აზრი მათი წინადადების რამოდენიმე მუხლებზე. ისმეტ-ფაშამ განაცხადა, რომ არც ერთ სხვა სახელმწიფოს, გარდა ოსმალეთისა, კონფერენციაზე უფლება არ აქვს წართმეული თავის, საკუთარი სატახტო ქალაქის დაცვისათვის. სრუტეების ოკუპაცია აძლევს უდიდეს უპირატესობას ხმელთა შუა და შავ ზღვაში მებრძოლ სახელმწიფოებს, რომლებიც პირველნი ჩაიგდებენ ხელში სრუტეებს და, ამ რიგად, დემილიტარიზაცია იქნება უბრალო ცდა და ის არასოდეს არ იქნება შესრულებული, თუ არ იქნება გამაგრებული სათანადო ზონები. ოსმალეთი ეთანხმება მოკავშირეების წინადადებას სავაჭრო გემების თავისუფალ მიმოსვლის შესახებ, მაგრამ ოსმალეთის დელეგაციას შემოაქვს შემდეგი წინადადებანი:

1) აუცილებელია სრუტეებისა და მარმარილოს ზღვისათვის უშიშროების გარანტიების შექმნა ყოველგვარ მოულოდნელ შემთხვევის წინაამდეგ, ხმელეთიდან იქნება ის, თუ ზღვიდან. 2) აუცილებელია საზღვაო ძალების რაოდენობის განსაზღვრა, რომელთაც უფლება იქნებათ შავ ზღვაში შემოსვლის, იმისათვის, რომ ეს ძალები საშიშროებათ არ გადაიქცეს სანაპირო სახელმწიფოებისათვის, 3) აუცილებელია მითვალყურე გემებიდან ძალების შექმნა საერთაშორისო ვაჭრობის დასაცავად.

მოკავშირეების წინადადებას ისმეტ-ფაშამ გაუკეთა 7 შენიშვნა: 1) მარმარილოს ზღვა არ უნდა შედიოდეს იმაში, რასაც ეწოდება „სრუტე“, როცა ლაპარაკია დემილიტარიზაციის შესახებ, 2) ვინაიდან რკინის გზები წარმოადგენს ანატოლიისა და ფრაკიის შორის დამოკიდებულების უმნიშვნელოვანესს საშუალებას, ამიტომ არ უნდა მოხდეს ბოსფორის დემილიტარიზაცია, 3) ნება დართული უნდა იყოს განიარაღებულ ზონებში ჯარების გატარება, ვინაიდან ეს ზონები შეადგენენ მიმოსვლის სისტემის ნაწილს, 4) მარმარილოს ზღვას ფლოტის საშუალებით დასაცავად, ოსმალეთს ესაჭიროება არსენალი და სხვა და სხვა საზღვაო დაწესებულებანი სტამბოლსა და სრუტეების რაიონში, 5) მოკავშირეების მიერ წარმოდგენილი განიარაღებული ზონები ძლიერ ფართოა, 6) ოთხი კუნძულიდან, რომლებიც მდებარეობენ დარდანელის კარებთან, სამოფრაკია, ტენედოსი და იმბროსი უნდა დარჩეს ოსმალეთის სუვერენიტეტის ქვეშ, ხოლო კუნძული ლემნოსი უნდა იყოს ავტონომიური, 7) გალიპოლის ნახევარ-კუნძულისათვის უნდა დაშვებულ იქნეს თავდაცვითი ზომების მინიმუმი, რათა უზრუნველყოფილი იქნეს ის ყოველგვარ მოულოდნელობისაგან.

ლორდ კერზონმა კმაყოფილება გამოსთქვა განიარაღებულ ზონებისა და სავაჭრო გემებისათვის მუდმივ თავისუფალ მიმოსვლის შესახებ ოსმალოების პრინციპიალურ თანხმობის გამო და განაცხადა, რომ მიმოსვლის მოწესრიგების საერთაშორისო კომისია გასცემს პასუხს ისმეტ-ფაშის 7 მუხლზე. შემდეგ მან შეიტანა წინადადება, რათა მუხლები 1,5 და 7 გადაეცეს მოკავშირეებისა და ოსმალოების ექსპერტებს განსახილველად. რაც შეეხება მეორე მუხლს, ის ფიქრობს, რომ საკითხი ბოსფორის ზონის დემილიტარიზაციის შესახებ დატოვებული იქნება ძალაში, მაგრამ შესაძლებელია შეტანილი იქნეს ზოგიერთი ცვლილებანი სტამბოლის შესახებ—მეოთხე მუხლის განხილვა უნდა მოხდეს მაშინ, როცა საზავო ხელშეკრულების სამხედრო და საზღვაო მუხლები იქნება დასმული დღის წესრიგში. რაც შეეხება მეექვსე მუხლს, მასში აღნიშნული 4 კუნძული უნდა იქნეს განიარაღებული და მოკავშირეებს არ შეუძლიათ დათანხმება იმაზე, რომ ლემნოსის და სამოფრაკიის სუვერენობა შეადგენდეს განსაკუთრებულ საკითხს, ხოლო საკითხი ტენედოსის და იმბროსის შესახებ ჯერ-ჯერობით ღიათ უნდა იქნეს დატოვებული, თუმცა-ღა იქ მოთავსებულ მოკავშირეების სასაფლაოების შესახებ, როგორც ეს აღიარებულია სევრის ხელშეკრულების 216 მუხლში,—ლაპარაკიც არ არის ამ კუნძულების სუვერენობის შესახებ.

ექსპერტების თათბირი.

პარიზი. 12 დეკემბერი. მოკავშირეების საზღვაო და სამხედრო ექსპერტებმა და ოსმალეთის ექსპერტებმა დაამთავრეს მოლაპარაკება და მიაღწიეს შეთანხმებას მოკავშირეების პროექტს სრუტეების რეჟიმის შესახებ. შესაძლებელია, დღეიდან დაიწყოს რუსეთის ექსპერტებთან მოლაპარაკება.

არ უნდა გვქონდეს იმედი.

პარიზი. 12 დეკემბ. ლონდონის წრეებში იმედოვნებენ, რომ ლოზანის კონფერენცია მისი სხდომების დროის განმავლობაში მიაღწევს ისეთ შედეგებს, რომლებიც დადებითი გავლენას მოახდენს დანარჩენ მოლაპარაკებაზე. „ჟურნალი“-ს ცნობით, ლოზანაში კონფერენციის შემადგენლობის ერთმა გამოჩენილმა წევრმა განაცხადა, არ გვაქვს იმის იმედი, რომ ოსმალებთან მივაღწევთ შეთანხმებას კაპიტულაციის საკითხში. თუ დიდი სახელმწიფოები პრინციპიალურად არ დათანხმდენ კაპიტულაციის გაუქმებაში... მაშინ ოსმალების მხრიდან ჯიუტობა ისე შორს წავა, რომ შეიძლება მიგვიყვანოს განხეთქილებამდე.

მოკავშირეების დელეგაციის წასვლა

პარიზი. 12 დეკ. საფრანგეთის, ბელგიის და იტალიის დელეგაციები სტოვებენ ლოზანას.

ლონდონის თათბირი

გერმანიის წინადადება

პარიზი. 11 დეკ. გერმანიის წინადადება განხილული იქნა ლონდონის თათბირზე 3 საათზე. პუანკარე ამტკიცებდა, რომ გერმანიის წინადადება არაა დამაკმაყოფილებელი. გერმანია თხოულობს მორატორიუმს და სავაჭრო ოპერაციებში თანასწორობას, წინააღმდეგ ვერსალის ხელშეკრულებისა. პუანკარე ამიტომ მომხრეა სესხის, რომ ამით შემსუბუქდეს კონტრიბუციის საკითხი, მაგრამ თვლის გერმანიის პროექტს სრულიად მიუღებლად.

მუსოლინიმ და ფენისმა გამოსთქვეს ასეთივე აზრი. ბონარ-ლოუმ აღნიშნა რა საერთო ოპოზიციონური აზრი განაცხადა, რომ ის ინგლისის შეხედულებას გააცნობს თათბირს მინისტრთა სხდომის შემდეგ. ამის შემდეგ პუანკარემ აღნიშნა, რომ გერმანიის ახალი წინადადება მიუღებელი იქნება, თუ გერმანია არ გადმოგვცემს რურის ოლქში ნახშირის ამოღებაზე კონტროლის უფლებას და დამოქენების მართველობას.

ფენისი პრინციპში შეუერთდა საფრანგეთის პროექტს.

მუსოლინი დაჟინებით მოითხოვდა მოკავშირეთა ურთიერთ ვალების გაბათილებას.

ბონარ ლოუმ განაცხადა, რომ ინგლისის აზრის შესახებ, ის შეეკითხება კაბინეტს.

ლონდონი. 12 დეკემბერი. გაზეთების ცნობით ბონარ ლოუს გეგმა ემყარება ბალფურის ნოტაში აღნიშნულ პრინციპებზე. გაზეთები ფიქრო-

ამიერ-კავკასიის საბჭოთა ყრილობა

ბაქო, 11 დეკ. 10 დეკემბერს საღამოს საზეიმოდ მორთულ დარბაზში გაიხსნა ამიერ-კავკასიის საბჭოთა პირველი ყრილობა ბაქოს საბჭოს, რაიონულ საბჭოების, ადერბეიჯანის პროფკავშირთა საბჭოს, პროფკავშირთა გამგეობების, ქარხნის კომიტეტების, არმიის, ფლოტის და ახალგაზრდობის კომკავშირის წარმომადგენლების მონაწილეობით.

ყრილობაზე ჩამოვიდა ადერბეიჯანიდან, საქართველოდან, სომხეთიდან, აჭარიდან და აფხაზეთიდან დაახლოვებით 520 დელეგატი.

ყრილობის საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს: ამხ. ლენინი, ტროცკი, ზინოვიევი, კალინინი, მიხა ცხაკაია და ყრილობაზე მყოფი უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის წარმომადგენელი ამხ. მანუილსკი.

ყრილობის პრეზიდიუმში აირჩიეს: ამხ. ნარიმანოვს, ელიავას, ორჯონიკიძეს, კიროვს, მიასნიკოვს, ორახელაშვილს და სხვ

დღის წესრიგშია შემდეგი კითხვები: საბჭოთა ფედერაციის შინაური და საგარეო მდგომარეობა; ამიერ კავკასიის რესპუბლიკების საკავშირო საბჭოს მუშაობის ანგარიში; ამიერ-კავკასიის კონსტიტუცია; სამეურნეო საკითხები—ნავთის მრეწველობა, ბამბის მოშენება, მორწყვა; წითელი არმია და ფლოტი; ამიერ-კავკასიის ცენტრალური აღმასკომისა და სოციალისტურ საბჭოთა რესპუბლიკების ყრილობის დელეგატების არჩევნები.

მოხსენება პირველი საკითხის შესახებ წაიკითხა სრულიად რუსეთის ცენტრალური აღმასკომის აზერბეიჯანის ცენტ. აღმასკომის წევრმა და აზერბეიჯანის კომპარტიის მდივანმა ამხ. კიროვმა.

აუარებელი მისალმებანი საქართველოდან, სომხეთიდან, აჭარიდან და აფხაზეთიდან მოწმობს იმას, რომ დიადი მიზანი—საბჭოთა სახელმწიფოების გაერთიანება ერთ მტკიცე კავშირში მიღწეულია.

ყრილობის მუშაობის ძირითადი შინაარსი იქნება ამიერ კავკასიის და საერთო საბჭოთა ამოცანების დაყენება ეკონომიური აღმშენებლობის სფეროში.

დიდი ენტუზიაზმი გამოიწვია ბაქოს პროლეტარიატის შორის ამხ. მანუილსკის მისალმებამ, რომელიც ლაპარაკობდა საფრანგეთის კომპარტიის სახელით.

ბაქოს მუშები მოხარული არიან და ამაყობენ, რომ ნავთის სამრეწველო ქალაქში ხვდებენ ამიერ კავკასიის საბჭოთა პირველ ყრილობას.

ყრილობა გაგრძელდება 3 დღით.

ბენ, რომ ინგლისის პრემიერი ცდილობს, რომ ინგლისი შექნეს გერმანიის ერთად ერთ კრედიტორად, რის გამო კონტრიბუციის საკითხების შესახებ თათბირის გაგრძელება არ იქნება საჭირო. ასეთია, გაზეთების ცნობით, მდგომარეობა დღეს, როდესაც განახლდა პრემიერების მოლაპარაკება.

„ნიუ-იორკ" ტაიმსი პუანკარეს წინადადების შესახებ.

პარიზი. 12 დეკემბერი. „ნიუ იორკ ტაიმსი" პუანკარეს წინადადების გამო რურის ოკუპაციის შესახებ ამბობს, რომ ფრანგების ცხრა მეათედი წინააღმდეგი არიან ამ ოკუპაციის მოხდენის.

ინგლისის კაბინეტის სხდომა.

ჰანოვერი. 12 დეკემბერი. პარიზში გაფაციცებული ყურადღებით მოელიან ინგლისის კაბინეტის სხდომის შედეგებს, რომელიც ბონარ ლოუმ მოიწვია რურის ოლქის ოკუპაციის შესახებ პუანკარეს მიერ შეტანილ წინადადების განსახილველად. ფიქრობენ, რომ პუანკარეს ამ წინადადებით განზრახული აქვს მიაღწიოს მხოლოდ ზოგიერთ დაპირებებს ინგლისის მთავრობის მხრივ.

თათბირის სამი კვირით გადადება.

ლონდონი. 12 დეკემბერი. ლონდონის კაბინეტის სხდომის შემდეგ დღეს შედგა გარეშე საქმეთა სამინისტროსთან მოკავშირეების პრემიერების თათბირი. ფიქრობენ, რომ დღეს საღამოს ან სხვა თათბირი გადაიდება 3 კვირით, იმის გამო, რომ ბონარ ლოუმ მონაწილეობა უნდა მიიღოს თემთა პალატაში.

მდგომარეობა ინგლისში

ბრიტანეთის კომპარტია.

მოსკოვი. 11 დეკ. ბრიტანეთის კომპარტიამ გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელშიაც იგი აღნიშნავს, რომ მუშათა პარტიამ გაიმარჯვა არჩევნებში ერთიან პროლეტარულ ფრონტის წყალობით. ერთიან ბრძოლის ფრონტს დახმარება უნდა გაეწიოს მომავალშიაც მუშათა მთავრობის სასარგებლოთ წარმოებულ ბრძოლაში. კომუნისტები მხარს დაუჭერენ მუშათა პარტიას მანამ, სანამ, ეს უკანასკნელი იდგომება წმინდა მუშათა პოზიციაზე. ინგლისის პროლეტარიატმა უნდა აწარმოვოს მომავალში ენერგიული მუშაობა პარლამენტის გარეშე.

საზღვაო შეიარაღება.

მოსკოვი. 11 დეკ. ინგლისის საადმირალოს ლორდმა თემთა პალატაში განაცხადა, რომ თუ ვაშინგტონის შეთანხმების რატიფიკაცია მოხდა, ამერიკას ეყოლება 20 სამხედრო გემი, ინგლისს—22 და იაპონიას—10. თუ რატიფიკაცია არ მოხდა, მაშინ ამერიკას ეყოლება 21 სამხედრო გემი, ინგლისს და იაპონიას კი 23 თითოს.

მღელვარება ბულგარეთში

ბორდო, 12 დეკ. მაკედონელების ამბოხების ჩაქრობის მიზნით კიუსტენდილში გასაგზავნად მთავრობის მიერ გამოწვეულმა ბულგარეთის გლეხებმა მოახდინეს არეულობა სოფიაში.

იტალია-რუსეთის დამოკიდებულება

მოსკოვი. 11 დეკემბერი. იტალიის მთავრობამ აქ მოსკოვში გააგზავნა სავაჭრო მისია გოზაცის მეთაურობით

კრასინმა საუბრის დროს სთქვა, რომ იტალიაში ჩასვლისას მან იტალიის მთავრობასთან ერთად განიხილა მთელი რიგი ეკონომიური კითხვებისა, რომელთა საბოლოო გადაწყვეტა რომში მყოფ რუსეთის წარმომადგენლობის და მოსკოვში მყოფ იტალიის წარმომადგენლობის საქმეა. მუსოლინიმა გამოთქვა სურვილი ორივე ქვეყნებს შორის უფრო მჭიდრო ეკონომიური დამოკიდებულების დადგენისა. კრასინმა აღნიშნა, რომ ნორმალური ეკონომიური ურთიერთობის დამყარება შეუძლებელია თუ არ დამყარდა აგრეთვე იურიდიული და პოლიტიკური ურთიერთობა. უნდა ვიმედოვნოთ, რომ პოლიტიკური ურთიერთობის მოწესრიგება უახლოეს დროში მოხდება.

გერმანია და საბჭოთა რესპუბლიკები

ლონდონი, 12 დეკემბ. ბერლინიდან იუწყებიან, რომ გერმანიის გარეშე საქმეთა მინისტრმა როზენბერგმა ოფიციალურად აცნობა რეისხტაგის გარეშე საქმეთა კომისიას, რომ რაპალოს ხელშეკრულება რუსეთსა და გერმანიის შორის გავრცელებულია ყველა დანარჩენ საბჭოთა რესპუბლიკებზე.

სხვადასხვა ამბები

ისპანიის პარლამენტის დათხოვნა.

ჰანოვერი. 11 დეკ. ჰავასის სააგენტო იუწყება, რომ პრემიერი მარკიზ დე—ალჰუსემასის მომხრეა პარლამენტის დათხოვნის.

პოლონეთის ნაციონალ. დემონსტრაცია

ბერლინი. 12 დეკემბ. ვარშავიდან იუწყებიან, რომ პოლონეთის ნაციონალისტებმა დემონსტრაცია მოაწყვეს პოლონეთის ახალი პრეზიდენტის გრაფი ნარუტოვიჩის წინააღმდეგ და გამოუშვეს მოწოდება, რომ ისინი აწი მხარს არ დაუჭერენ პოლონეთის მთავრობას.

ჰანოვერი. 12 დეკემბ. ნარუტოვიჩის წინააღმდეგ ნაციონალისტების დემონსტრაციამ მიიღო ანტი ებრაელური დემონსტრაციის ხასიათი.

ნობელის პრემია.

ჰანოვერი. 12 დეკ. შვეციიდან იუწყებიან, რომ ნობელის ზავის პრემია მიეცა დოქტორ ნონსენს.

მიწის ძვრა ჩილეში.

ბორდო. 12 დეკ. სანტ-იაგოში, ორშაბათს დილით, ძლიერ მიწის ძვრას ქონდა ადგილი.

ისევ პაშიჩი.

ჰანოვერი 12 დეკ იუგო-სლავიის კაბინეტის შედგენა მინდობილი აქვს ისევ პაშიჩს.

ანგორა და საფრანგეთი.

ანგორა. 5 დეკ ანგორაში საფრანგეთის მიმართ ფეხს იკიდებს მეტად მტრული განწყობილება, იმის გამო რომ ლოზანაში ინგლის-საფრანგეთი იჩენენ ერთსულოვნობას ოსმალეთის საზღვრების, ფინანსების და კაპიტულიაციის საკითხებში.

„სახალხო პარტია" ანგორაში.

მოსკოვი 12 დეკ. ანგორიდან იტყობინებიან: მუსტაფა ქემალს განზრახული აქვს დაარსოს „სახალხო პარტია" ნაციონალ-ლიბერალური პროგრამით.

ინგლისი

ნიუბოლდის განცხადება.

მოსკოვი. 12 დეკ. გაზ. „მანჩესტერ გარდიენ"-ში მოთავსებულ წერილში, ნიუბოლდი სწერს: „მე აუცილებელ საჭიროებად მიმაჩნია, რომ ინგლისში მთელი პოლიტიკური ძალა-უფლება გადავიდეს მუშათა პარტიის ხელში. გავხდი რა კომუნისტი, მე უფრო მეტი ენერგიით, ვინემ წინად, მივისწრაფვი ამ მიზნისაკენ.

კომუნისტი კირხვუდი უარს ამბობს მოსკოვის დირექტივებისათვის დაქვემდებარებაზე და იხრება სოციალ-პატრიოტიზმისაკენ. დისციპლინის ქვეშ მყოფ კომუნისტს არ შეუძლია ინტერნაციონალისაგან განდგომა, ვინაიდან ჩვენ—კომუნისტები ვებრძვით მტერს, რომელიც გაერთიანებულ და ორგანიზაციულად მსოფლიო მასშტაბით.

კლასობრივი ბრძოლის მრავალი წლის გამოცდილება გვიკარნახებს ჩვენ ერთიან სარდლობას, სოლიდარობას და რკინის დისციპლინას".

ინგლისის ფლოტის ზრდა.

ლონდონი. 12 დეკემბერი. ბონარ ლოუმ თემთა პალატაში განაცხადა, რომ მთავრობას გადაწყვეტილი აქვს ააშენოს ორი ახალი სამხედრო გემი. პრემიერის სიტყვით, ახალი გემების აშენება დაკავშირებულია ვაშინგტონის შეთანხმებასთან.

უმუშევრობა ინგლისში.

ჰანოვერი. 11 დეკ. უკანასკნელ დროს ინგლისში ძლიერ გამრავლდა უმუშევართა რიცხვი.

წითელ რუსეთში

რუსეთი

თათბირი გვალვის საწინააღმდეგო ზომების გამოსანახად

მოსკოვი. 12 დეკ. მოსკოვში დაიწყო მუშაობა მიწად-მოქმედების სახალხო კომისარის მიერ მოწვეულმა თათბირმა გვალვის საწინააღმდეგო ზომების გამოსანახად.

გადასახადი იმ პირზე, ვინც სარგებლობს შინა მოსამსახურეებით

მოსკოვი 12 დეკ. მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა შემოიღოს გადასახადები იმ პირებზე, რომლებიც სარგებლობენ შინაური მსახურით: ვისაც ერთი მსახური ყავს, მას გადახდება თვითეულ ნახევარ წლიწადში არა უმეტეს 2,000 მანეთისა; რომლებსაც ერთზე მეტი მსახური ეყოლება—10,000 მან. თვითეულზე.

ნეპის შედეგები

მოსკოვი. 12 დეკემ. გამოვიდა რა მოხსენებით ნეპის შედეგებზე 1922 წელში (გამოტოვებულია). მილიუტინმა აღნიშნა, რომ მსუბუქი ინდუსტრიის წარმოების წინსვლა ეჭვ გარეშეა, მაგრამ მძიმე ინდუსტრიის წარმოების წინსვლა კი ხდება ნელი ნაბიჯით. ნაწარმოებთა დამზადებამ ყველა წარმოებებში იმატა. სახელმწიფო მრეწველობაში გადასვლის შედეგად (გამოტოვებულია) .. თავის ნაწარმოებს ყიდდენ თვით ღირებულებაზე ნაკლებ ფასებში, რის გამოც ნედლი მასალის მარაგი და დამზადებულ ნაწარმოებთა რაოდენობა წარმოებებში საკმაოთ შემცირდა. მილიუტინმა აღნიშნა, რომ 7,000 წარმოებიდან, რომელთა იჯარით გაცემა იყო განზრახული, ფაქტიურად გაცემულია 3,874, განსაკუთრებით წვრილი წარმოებანი. მუშების მდგომარეობა სახელმწიფო მრეწველობაში საკმაოთ გაუმჯობესდა. საშუალოდ მუშები ღებულობენ ომამდე არსებულ ხელფასის 37 პროც.

ახალი აღმოჩენა

მოსკოვი. 12 დეკ. გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარმა მიუსაჯა ჯილდო ავტომატური მუხრუჭი „უნივერსალის" გამომგონებელს კოზანცევს, რომელიც 15 წელიწადი მსახურობდა ტაშკენტის რკინის გზაზე მემანქანედ.

მუხრუჭი „უნივერსალი" გაცილებით უკეთესია „ვესტინგჰაუზის" სისტემაზე. ამ აღმოჩენას აქვს მსოფლიო მნიშვნელობა.

სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობა

მოსკოვი. 12 დეკ. სრულიად უკრაინის ყრილობამ მიმართა ლენინს, ტროცკის, კალინინს და ზინოვიევს თხოვნით, რათა გამოვიდნენ სიტყვით რადიოს და ტელეფონის საშუალებით ამ დღეებში განზრახულ სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობაზე.

ორთქლმავლის ლაბორატორია.

მოსკოვი. 12 დეკემბ. მიმოსვლის სახალხო კომისარიატმა აამუშავა საუცხოვოდ მოწყობილი ორთქლმავალის ლაბორატორია-ნიკოლაევსკის რკინის გზის ალექსანდროვის ქარხანასთან.

მურმანის ბაზრობა.

მოსკოვი. 12 დეკემბერი. წარმატებით მიმდინარეობს მზადება მურმანის ბაზრობისათვის. შემოვიდა განცხადებები შვეციის, ნორვეგიის და საფრანგეთის ფირმებიდან. მოვიდა ნორვეგიის გემი 15,000 ტონნა თევზით. მოელიან უცხოეთის საქონლის 3 მილიონი ფუთ. რაოდენობით. ლოპარი ამზადებს ბეწვეულს.

ბავშთა კონფერენცია.

მოსკოვი. 13 დეკემბერი. იუზოვსკის პირველ ბავშთა კონფერენციაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომელშიაც გამოთქმულია მადლობა კომპარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისადმი და აღნიშნულია, რომ საბჭოთა ხელისუფლებამ მისცა პროლეტარების ბავშვებს არსებობის საშუალება, იხსნა რა უპურობის ქუჩებისა და სიმშილისაგან.

სოფლის მეურნეობის მავნეებთან მუშაკთა ყრილობა.

მოსკოვი. 12 დეკემბ. გაიხსნა სრულიად რუსეთის სოფლის მეურნეობის მავნეებთან ბრძოლის მუშაკთა ყრილობა. ყრილობას მიესალმა მიწად მოქმედების სახ კომისარიატის წარმომადგენელი, რომელმაც აღნიშნა მავნეებთან ბრძოლის მუშაკთა დამსახურება. მისალმებით გამოვიდნენ მთელი რიგი სამეცნიერო საზოგადოებათა წარმომადგენელნი. ყრილობამ მოისმინა მიწად-მოქმედების სახ. კომისარის მოხსენება მცენარეულობის დაცვის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს რესპუბლიკა გარშემორტყმული იყო მავნეებით. ჩვენი მორიგი ამოცანაა მავნეთა გავრცელების ნიადაგის სრული ლიკვიდაცია.

უკრაინა

სასოფლო მეურნეობა უკრაინაში.

მოსკოვი, 12 დეკ. ხარკოვის საბჭოთა საგუბერნიო ყრილობაზე გამოსულმა უკრაინის ცენტრალურ აღმასკომის თავმჯდომარე პეტროვსკიმ აღნიშნა, რომ საბჭოთა ხელისუფლება ღებულობს ენერგიულ ზომებს უკრაინის სასოფლო მეურნეობის აღდგენისათვის. ამ უკანასკნელ დროს გაღებულია 4 მილ. მან. ოქროთი სიმინდის შესასყიდათ და 150 მილ. მან. 1922 წლის ფულის ნიშნებით ცხენების შესაძენად, 100 მილიონი—სასოფლო-სამეურნეო კრედიტისათვის 700 მილ.—თესლების, მანქანების და სხვ. შესასყიდათ.

მოსკოვის საბჭოს არჩევნები

მოსკოვი. 12 დეკემბ. არჩევნების მეხუთე დღეს არჩეულ ა 197 კომუნისტი და 20 უპარტიო. სულ ხუთი დღის განმავლობაში არჩეულია 1241 კომუნისტი და 84 უპარტიო.

მოსკოვის საბჭოსაკენ განუწყვეტლივ მიიმართება ამომრჩეველთა მრავალრიცხოვანი მანიფესტაციები დროშებით და მუსიკით.

კრასნოპრესნენის რაიონის 5000 სტუდენტმა ერთხმად აირჩია მოსკოვის საბჭოში კომუნისტები, თავი შეიკავა მხოლოდ ხუთმა.

1500 ხელოვნების მუშაკთა კრებამ აირჩია კომუნისტები მათ რიცხვში მეიერხოლდი.

სამხედრო ნაწილებმა საპატიო დეპუტატებად აირჩიეს ძერჟინსკი, კალინინი, კამენევი და ჩიჩერინი.

არჩევნები მეექვსე დღეს მოსკოვის ყველა რაიონებში არჩეულია 154 კომუნისტი და 13 უპარტიო.

6 საარჩევნო დღის განმავლობაში მოსკოვის საბჭოში არჩეულია 1408 კომუნისტი და 98 უპარტიო.

ახალგაზრდათა კომინტერნის კონგრესი

9 დეკემბერს კონგრესის საღამოს სხდომაზე ციგლერმა, რომელიც გამოვიდა მოხსენებით ახალგაზრდობის მე-2-ე მსოფლიო კონგრესის დადგენილებათა ცხოვრებაში გატარების შედეგების შესახებ აღნიშნა, რომ მე-2-ე კონგრესის დადგენილებათა პრაქტიკულ განხორციელებას შეხვდა მთელი რიგი დაბრკოლებისა. მე-2-ე კონგრესის დამთავრებისას დასავლეთის მუშათა მასსების რევოლიუციონური განწყობილება მოდუნებული იყო, რამაც გავლენა იქონია აგრეთვე პროლეტარულ ახალგაზრდობის ორგანიზაციებზე. ახალგაზრდობის კავშირები არ იყვნენ საკმაოდ მომზადებული მე-2 ე კონგრესის რეზოლიუციების განხორციელებისათვის. მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდა საყოველთაო სამეურნეო კრიზისის და აგრეთვე კაპიტალის იერიშზე გადმოსვლის გამო. ზოგიერთმა ამხანაგებმა სრულიად აიღეს ხელი პოლიტიკურ მოღვაწეობაზე, მიუხედავათ მე 2 ე კონგრესის დადგენილებისა პარტიების მიერ წარმოებულ პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობის მიღების აუცილებლობის შესახებ. მიუხედავად ამისა უკანასკნელ დროს ახალგაზრდობაში ისევ იზრდება ინტერესი პოლიტიკურ საკითხებისადმი. ახალგაზრდობის კომ კავშირის ორგანიზაციებმა საქმიანი მონაწილეობა მიიღეს ეკონომიურ ბრძოლაში, მთელ რიგ გაფიცვებში მონაწილეობის მიღებით. ამით ახალგაზრდობის კომუნისტურმა ორგანიზაციებმა დიდი სიმპატია მოიპოვეს ახალგაზრდობაში. ანტი-მილიტარისტული მუშაობა მიმდინარე წლის განმავლობაში ვერ იქნა წარმოებული საკმაო ენერგიით, რაც აიხსნება სხვათა შორის რეაქციის სასტიკი რეპრესიებით. მიუხედავათ მიხწეულ გამარჯვებებისა, კავშირები ჯერ არ გამხდარან მასსიურ ორგანიზაციებად. ამ ჟამად ახალგაზრდობის კავშირთა წინაშე სდგას შემდეგი ამოცანები: აქტიური მონაწილეობა პარტიის ცხოვრებაში, მეურნეობის მდგომარეობის შესწავლა, ჩვენი ძირითადი ეკონომიურ მოთხოვნილებების მასსებისათვის განმარტება, აქტიური მუშაობა პროფკავშირებში, ბურჟუაზიულ არმიებში ახალგაზრდა კომუნისტებთან კავშირის დაჭერა, ანტი-მილიტარისტულ მუშაობის გაძლიერება, იაჩეიკების შექმნა ყველა საქარხნო—წარმოებებში.

კამათში მოხსენების შესახებ იტალიის დელეგატმა ლონგომ აღნიშნა, რომ იტალიის კავშირი მთელ თავის ძალ ღონეს ანდომებს ბრძოლას ფაშიზმის წინააღმდეგ. ამიტომ ახალგაზრდობის ეკონომიური ბრძოლის ხელმძღვანელობა მეორე რიგში სდგას. ამის და მიუხედავად კავშირი მონაწილეობას იღებს გაფიცვებში, რის გამო ახალგაზრდობის სიმპატიები კავშირისადმი თან და თან იზრდება.

გერმანიის დელეგატმა მეტილერმა აღნიშნა, რომ გერმანიის ორგანიზაციის მუშაობა განათლების სფეროში წარმატებით სწარმოებდა, მაგრამ პროლეტარულ ახალგაზრდობის ფართე მასსებისათვის ძლიერ ცოტა გაკეთდა, საჭირო ძალების და საშუალებათა სიმცირის გამო.

ამერიკის დელეგატმა ტარრმა აღნიშნა, რომ ამერიკის კავშირი არსებობს მხოლოდ ერთი წელიწადი და დიდ დროს ანდომებს წმინდა ორგანიზაციული ხასიათის საკითხებს. ეკონომიურ ბრძოლაში ის აწარმოებს კომ პარტიასთან ერთად და ხან კიდევ გამოდის დამოუკიდებლად.

ჩეხოსლოვაკიის დელეგატმა აღნიშნა, რომ მე 2 კონგრესის მიერ წამოყენებული ეკონომიური მოთხოვნილებანი ახალგაზრდობისათვის იყო ახალი, საჭირო იყო ფართე მასსებისათვის მათი გაცნობა და განმარტება ამ მხრივ დამაკმაყოფილებელ შედეგებს მივაღწიეთ.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

სომხეთი

ერევანი.

ლექცია დაშნაკელებზე. 9 დეკემბერს უნივერსიტეტის დარბაზში სტუდენტობის წინაშე ამხ. კარინიანმა წაიკითხა ლექცია „დაშნაკცუტიუნის" პარტიის წარსულზე მთავრობის სათავეში ყოფნის დროს, და მის დღევანდელ მდგომარეობაზე. კარინიანი შეჩერდა დაშნაკელების მუდმივ ბრძოლაზე მეზობლებთან, მის დამოკიდებულებაზე რუსეთთან და ბურჟუაზიულ ანტანტასთან. ლექციამ დიდი გავლენა იქონია სტუდენტობაზე.

საეკონომიო გამოკვლევათა ბიურო. ამიერ კავკასიის ფინანსთა კომისარიატის რწმუნებულთან დაარსდა ეკონომიური გამოკვლევათა და ფინანსიურ-ეკონომიურ ხასიათის საკითხების შემსწავლელი ბიურო. ბიურო გამოსცემს თვიურ ჟურნალს სათაურით. სომხეთის ეკონომიური ცხოვრება.

საბავშო სახლები. სომხეთის საბავშო სახლებში—ალექსანდროპოლში, დილიჟანში, იჯევანში, ახალბაიაზითში, ეჩმიაძინში—იმყოფება 9,835 ბავშვი.

საქართველო

ბათუმი

პარტიაში. სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებამ მოაწყო კომისია, რომლის დანიშნულებაცაა ბათუმის ორგანიზაციების წევრთა პოლიტიკური მომზადების გამორკვევა. კომისიას განზრახვა აქვს მოახდინოს ამ მიზნით გამოცდები „იაჩეიკებში". გამოცდების შედეგების მიხედვით ორგანიზაციათა ყველა წევრები დაყოფილი იქნებიან გრუპებად პოლიტიკური მომზადების მიხედვით. ცალკე გრუპებისთვის შემდეგში განზრახულია პოლიტიკური და მარქსისტული წრეების დაარსება, სადაც ორგანიზაციის წევრები მიიღებენ და შეავსებენ თავიანთ პოლიტიკურ ცოდნას.

ბოროტმოქმედების შემცირება.

სისხლის სამართლის ძიების საქმის სასურველ დონეზე დაყენების გამო, შემჩნეულია ბოროტმოქმედების შემცირება ბათომში.

„ქუჩის ბავშთა სახლი"-ს მომწყობი ცენტ. კომისია და ტფ. აღმასკ. სახალხო განათლების

განყოფილება

სთხოვს დაწესებულებებს, ორგანიზაციებს და კერძო პირებს, რომლებიც აგროვებდენ შემოწირულებებს აღნიშნულ სახლის სასარგებლოდ, შეკრებილი ფულები შეიტანონ სახალხო განათლების გაყოფილების საშუალებით ქალაქის აღმასკომის სალაროში, ხოლო ნივთები ჩააბარონ სახალხო განათლების განყოფილების საწყობში—პეტრე დიდის ქ. № 8, ვინაიდან არსებულ ორგანიზაციულ პერიოდში, სახლს ესაჭიროება როგორც ფული, ისე ნივთები.

სახლის მომწყობი ცენტრალური კომისია.

ქ. აღმასკ. სახალხო განათ. განყოფილება.

ტფილისის აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაობა

საჭიროდ მიგვაჩნია მცირე ანგარიშის სახით გავაცნოთ საზოგადოებას ქალ ტფილისის აღმასკომის განათლების განყოფილების მუშაობა სწავლა-აღზრდის საქმეში.

წარსულ სამოსწავლო წლის განმავლობაში შრომის სკოლა, შრომის სკოლის ახალი პრინციპები, ახალი მეთოდები საზოგადოების და კერძოთ მასწავლებელთა უმრავლესობისათვის უფრო მეჯლიშის საგანს შეადგენდენ: საზოგადოება და მასწავლებლობა თითქმის ჯერ სავსებით ვერ გამორკვეულიყო, თითქოს ეძნელებოდათ უარი ეთქვა ძველ, ხანმოკმულ სკოლაზე და ამ მერყეობის გამო ნაკლებ აქტივობას და შემოქმედებას იჩენდენ ახალი სკოლის შესაქმნელად.

ვიტყვით, რომ ეს ასეც უნდა მომხდარიყო; საზოგადოებისა და კერძოდ მასწავლებლობისათვის ალბად ძნელი იყო მოკლე დროს განმავლობაში შეეწყვიტა კავშირი იმ სკოლასთან, რომელსაც უკვე დიდი ხანია შეესისხლხორცა და რომლის საშუალებითაც აღიზარდა, თუმცა ამ სკოლის უვარგისობა ყველასათვის ნათელი იყო.

ამით აიხსნება, რომ წარსული და მიმდინარე სამოსწავლო წლები მეტად განსხვავდებიან ერთი მეორესაგან.

წელს სულ სხვაა. საზოგადოების და კერძოდ მასწავლებლობის უდიდესი ნაწილი თითქმის სავსებით გამორკვა ბურუსიდან, დარწმუნდა ძველი სკოლის უვარგისობაში, შეეთვისა შრომის სკოლას, მის ახალ პრინციპებს და მეთოდებს, მეჯლიშიდან გადავიდა მოქმედებაზე და ცდილობს ყოველივე ახლად შეთვისებული და შეძენილი რეალურ ფაქტად აქციოს, რადგან უკვე დარწმუნდა მის უპირატესობაში და აუცილებლობაში.

საერთოდ ცხოვრების პირობების შედარებითმა გაუმჯობესებამ და განათლების დარგის მუშაკთა აქტივობამ საგრძნობლად გააადვილა საერთო განათლების საქმე და ყოველ ნაბიჯზე შეიძლება დავრწმუნდეთ, თუ როგორი გაფაციცებით მუშაობენ სკოლის გამგეები და მასწავლებლები: ხსნიან სასწავლებლებში სხვა და სხვა სახელოსნოებს, ეძებენ ორიგინალ მასალას, აფართოებენ სასწავლებლის შენობებს, იწვევენ გამოცდილ პირებს და ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, რათა [illegible] სწავლა და [illegible] შორის [illegible].

[illegible] თბილისის შრომის სკოლებს, საბავშო სახლებს და ბაღებს, ზოგიერთის გამოკლებით, [illegible] უწევს ქ. აღმასკომის [illegible] განათლების განყოფილება, რომელიც ნამდვილი სასიცოცხლო ძალებია, [illegible] ქონა, საიდანაც სასწავლებლები ღებულობენ სითბოს და საზრდოს.

განათლების განყოფილებას აქვს საკმაოდ მოწყობილი აპარატი სკოლების გასაძღოლად და ერთი წუთსაც არ სტოვებს მათ უყურადღებოთ, ყოველ დღე განყოფილების ხუთი ექვსი ხელმძღვანელი - ინსტრუქტორი დაიარება სასწავლებლებში, ესწრებიან გაკვეთილებს, მართავენ ბაასს მასწავლებლებთან, ყოველ მხრივ ითვალისწინებენ სკოლის მდგომარეობას და იღებენ ზომებს შემჩნეული ნაკლის აღმოსაფხვრელად.

ჯერ კიდევ ზაფხულში განათლების განყოფილებამ ახალი ეკონომიური პოლიტიკის მიხედვით გამოიმუშავა განსაკუთრებული სარეორგანიზაციო გეგმა, როგორც თვით სამმართველოს აპარატისა, აგრეთვე ყველა ქვემდებარე დაწესებულებებისა და ეს გეგმა აუცილებლად უნდა განხორციელებულიყო მიმდინარე სამოსწავლო წლის დასაწყისისათვის. ამისათვის განყოფილებამ ზაფხულშივე ყოველ მხრივ შეისწავლა ქვემდებარე დაწესებულებათა მდგომარეობა და მთელი მასალის დაგროვების შემდეგ შეუდგა განზრახული გეგმის განხორციელებას.

მართალია რეორგანიზაციის განხორციელება და მისი ცხოვრებაში გატარება ადვილი არ იყო, რადგან ბევრი მოულოდნელი დაბრკოლება ელობებოდა წინ, მაგრამ ფრთხილმა და ენერგიულმა მუშაობამ მაინც დასძლია და სიტყვა საქმედ იქცა, თეორიული მოსაზრებანი რეალურ ფაქტებად გადაიქცენ.

განათლების განყოფილებაში კოლეგიალური მმართველობა გაუქმდა, დარჩა მხოლოდ განყოფილების გამგე თანაშემწით და ოცდაათი თანამშრომელი ორმოცდა რვის მაგიერად, ეს შემოკლებული და გამარტივებული აპარატი უფრო მეტი სისწრაფით და ყურადღებით ასრულებს თავის ვალდებულებას, ვიდრე ყოფილი კოლეგიალური მმართველობა მისი გაზვიადებული შტატით.

მახლობელი სკოლების და მცირერიცხოვანი განყოფილებების შეერთებით და აგრეთვე სკოლებში მკაცრე შტატის დამყარების საშუალებით 104 შრომის სკოლის მაგივრად მივიღეთ 89 სკოლა 714 განყოფილებით,—რომელშიაც მოთავსებულია 26.505 მოწაფე.

89 შრომის სკოლიდან—32 შრ. სკოლა არის ქართული და მათში მოთავსებულია—9.363 მოწაფე, რუსული სკოლებია—23 და მათში მოთავსებულია—7.228 მოწაფე, სომხური სკოლები არის—22 და მათში მოთავსებულია—8.028 მოწაფე. დანარჩენი 12 შრ. სკოლა ეკუთვნის სხვა და სხვა ეროვნებებს და მათში მოთავსებულია—1.886 მოწაფე.

სკოლების თანამშრომელთა საერთო რიცხვი უდრის 1.411 კაცს: ამ რიცხვიდან მასწავლებელი—1.104, ტეხნიკური პერსონალი—256 და კანცელარიის მომუშავე—51.

თუმცა წელს განზრახული გვქონდა მიგვეღო მხოლოდ 4.500 მოწაფე, მაგრამ რადგან სასწავლებლებს მოაწყდა დიდი რიცხვი პროფესიონალურ კავშირთა წევრების შვილებისა, იძულებული გავხდით გაგვეხსნა პარალელური განყოფილებები და მივიღეთ სასწავლებლებში 7.507 მოწაფე, მათში 5 517 არიან შვილები პროფესიონალურ კავშირთა წევრებისა, ხოლო საერთო რიცხვიდან—26.505 მოწაფეთაგან პროფესიონალურ კავშირთა წევრების შვილები არიან—17.047 მოწაფე.

თანამშრომელი.

(დასასრული იქნება)

პარტიული ცხოვრება

საქართველოს კომპარტიის რიგების გაწმენდის შედეგები

(პარტიის ცენტრალური გამწმენდი კომისიის ანგარიშიდან)

ბორჩალოს მაზრა. სამაზრო პარტიული ორგანიზაცია გაწმენდის შემდეგ შემცირდა 64 კაცით ანუ 38,5 პროც.-ით.

პარტიიდან გამორიცხულთა განწესრიგება გამორიცხვის მიზეზების მიხედვით შემდეგია: გამორიცხულია 63 და დროებით გამორიცხულია 1, მექანიკურად გამორიცხული არ იყო. ამ გვარად გამორიცხულთა პროცენტი უდრის 98,5-ს დროებით გამორიცხულთა 1,5 ს.

პარტიიდან გამორიცხულთა განაწილება სოციალურ მდგომარეობის მიხედვით შემდეგია:

	გამორ. სრულ	გამორ. დროე.	სულ
მუშები	2	—	2
ხელოსნები	5	—	5
გლეხები	53	1	54
მოსამსახ. და სხ.	3	—	3
სულ	63	1	64

პარტიულ რიგების შემცირება თვითეულ სოციალურ ჯგუფების მიხედვით პროცენტულად შემდეგში გამოიხატება:

თვითეულმა სოციალურმა ჯგუფმა გაწმენდის შემდეგ დაჰკარგა: მუშები—20,0 პროც., ხელოსნები—100,0 პროც., გლეხები—38,3 პროც., საბჭოთა მოსამსახურენი და დანარჩენი ინტელიგენტები—30,0 პროც., ყველაზე მეტი პროცენტი დაჰკარგეს ხელოსნებმა, შემდეგ მიდიან გლეხები, შემდეგ მოსამსახურეები და დანარჩენი ინტელიგენტები და ნახევრად ინტელიგენტური ელემენტები. მუშები შეადგენენ შედარებით მცირე პროცენტს.

პარტიიდან გამორიცხვის მიზეზების მიხედვით გამორიცხულთა განაწილება შემდეგია: ყოფილი პოლიციელები, და თეთრებთან სამსახურის გამო—1 კაცი, მექრთამეობისათვის—1, ბანდიტიზმის და ქურდობისათვის—4, ბანდიტების დაფარვისათვის 4; სამხედრო ბეგარისაგან დამალვისა და დეზერტირობისათვის—9; კარიერიზმის და საკუთარი სარგებლიანობისათვის—6, მორწმუნეობისათვის 4, ნაციონალიზმის და შოვინიზმისათვის—2, თანამდებობითი ბოროტმოქმედებისა და თვითმომარაგებისათვის—3, ბიუროკრატიზმის და სამსახურში დაუდევრობისათვის—1, უზნეო ყოფაქცევისა და პროსტიტუციისათვის—1, ინტრიგანობისათვის—1, სხვისი შრომის ექსპლოატაციისათვის—4, პასიური წევრობისათვის (ზედმეტი ბალასტი)—17. მიზეზების აღნიშვნის გარეშე—3, სულ 64 კაცი.

პარტიის ცენტრალური გაწმენდი კომისია.

საქ. კომპარტიის ცეკას მუშაობა ოქტომბერში

პარტ-აღმზრდელობითი მუშაობა*)

მუშაობა ახალგაზრდათა შორის. პარტიული ორგანიზაციებსა და კომკავშირს შორის არსებობს მტკიცე ორგანიზაციული კავშირი, დაწყებული საქ. კომპარტიის ცენტრალური კომიტეტით და გათავებული კომჯგუფებით. ყველა მნიშვნელოვან და პრინციპიალურ კითხვებზე კომკავშირი ღებულობდა შესაფერ დირექტივებს პარტკომებიდან. პარტია არ კმაყოფილდება მხოლოდ იდეიური და თეორიული ხელმძღვანელობით, არამედ ამასთან ერთად უწევს ტეხნიკურ და პრაქტიკულ დახმარებას ლიტერატურისა, სააგიტაციო ძალებისა და სხვ. მიწოდებით.

კავშირი ახალგაზრდათა კომკავშირის ცეკასი ქვემდებარე ორგანიზაციებთან, როგორც წერილობითით, ისე ზეპირი—მოგვარებულია. უნდა აღინიშნოს, რომ უმთავრესი ყურადღება კომკავშირის ცეკასი მიპყრობილი იყო საწარმოო და ნახევრად საწარმოო რაიონებში მუშაობის გაძლიერებაზე და გაღრმავებაზე.

ამ რაიონებში გაგზავნილ იქნენ უკეთესი ძალები, გაძლიერებულია პოლიტიკური მუშაობა, გახსნილია კლუბები და შეძლების დაგვარათ გაუმჯობესებულია მატერიალური მდგომარეობა მშრომელი ახალგაზრდობისა.

ასეთი ზომების წყალობით მუშაობა საქართველოს ახ. კომკავშირის ქალაქების და სამაზრო ორგანიზაციებში შესამჩნევათ გამოცოცხლდა და გაძლიერდა.

საანგარიშო თვეში ზოგიერთ მაზრებში წარმოიბდა წმენდა. მაგ.: ბათომის ოლქში, სადაც კომკავშირში შეპარულიყვნენ არა სასურველი ელემენტები და ბორჩალოს მაზრაში, სადაც აღმოჩნდა რამოდენიმე ახალგაზრდა, ჩაწერილი კომკავშირში იარაღის გულისათვის.

პოლიტ-განმანათლებელი მუშაობის დარგში მიქცეულია სერიოზული ყურადღება წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციაზე, რისთვისაც გატარებულ იქნა სპეციალური კამპანია. უნდა აღინიშნოს ის მეგობრული გამოძახილი, რომლითაც ხვდება ამ ნაბიჯს კომკავშირის ფართო მასსა. სწარმოებს მეცადინეობა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოთ; იძებნება საშვალებები, როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური ორგანოების მიერ, რათა დაწყებული მუშაობა არ შეწყდეს ტეხნიკურ დაბრკოლებების გამო.

პოლიტიკურ უცოდინარობის ლიკვიდაცია სწარმოებს პოლიტ-წრეების საშვალებით, რომელთა რიცხვი უდრის 59.

პარტიისგარეშე მომუშავეებს შორის თეორიული და პოლიტიკური ცოდნის გასაღრმავებლათ შექმნილია 5 მარქსისტული წრე.

კომკავშირი აწარმოებს მუშაობას უპარტიო ახალგაზრდობაში საყოველთაო სამხედრო სწავლების საშუალებით „ვსეობუჩი“. ამავე ორგანიზაციასთან კომკავშირს აქვს მტკიცე კავშირი საყოველთაო სამხედრო სწავლების სამხედრო კომისარის საშუალებით. ფორმები კომკავშირის მუშაობისა უპარტიო ახალგაზრდობაში შემდეგია: მოწვევა უპარტიო კონფერენციებისა, მოწყობა ჯგუფების საჯარო სხდომებისა, საკლუბო მუშაობა, საყოველთაო სწავლება, („ვსეობუჩი“) და სხვ.

საილუსტრაციოთ კომკავშირის და „ვსეობუჩის“ შორის ახლო დამოკიდებულებისა შეიძლება მოვიყვანოთ ერთი დამახასიათებელი მოვლენა: ახ. კომკავშირის ოზურგეთის სამაზრო კომიტეტმა მიიღო თავის თავზე შეფობა „ვსეობუჩისა“.

ოქტომბერში ჩატარებულ იქნა კომკავშირის მიერ პარტორგანიზაციებთან ერთად ფართე კამპანია ახ. კომკავშირის არსებობის 4 წლის თავის აღსანიშნავათ.

სწარმოებს მუშაობა ნაციონალურ უმცირესობებში. კომკავშირს აქვს მტკიცე კავშირი პროფესიულ კავშირებთან: კომკავშირის ცეკას ჰყავს თავის წარმომადგენელი ს. პ. კ. ს., ცენტრალურ სამმართველოებში კ—მელითონეთა, მეტყევეთა, მბეჭდავთა და კვებისა არსებობს ბიურო ახალგაზრდობისა. დანარჩენ კავშირების ცენტრალურ სამმართველოებში მუშაობენ წარმომადგენლები.

პროფკავშირებში შეტანილ იქნა კითხვები მუშა ახალგაზრდობის ტარიფის შესახებ. ტარიფის გამოსარკვევათ გამომუშავებულია 25 პუნქტი, რომელიც უნდა შევიდეს კოლექტიურ ხელშეკრულებებში. ურთიერთობა შრომის სახალხო კომისარიატთან კარგია. მოგვარებულია შეთანხმებული მუშაობა შრომის სახალხო კომისარიატისა ახალგაზრდათა კომკავშირის წარმომადგენელთან. გამოყოფილია შრომის 4 ასისტენტი, ახლო მომავალში გამოიყოფა მეხუთეც. ორგანიზაციული სექცია ახალგაზრდობისა შრომის ბირჟასთან წარმატებით მუშაობს.

სწარმოებს ცენტრალური ფაბრიკა-ქარხნის შეგირდების სკოლის შეკეთება და ახლო მომავალში დაიწყებს მეცადინეობას.

(შემდეგი იქნება)

ეკონომიური ცხოვრება

მდგომარეობა თბილისის ბაზარზე. ამერიკულ, ყუბანის და ადგილობრივ ფქვილზე ფასები უცვლელია. მტკიცეა ფასი ადგილობრივ ხორბალზე და ქერზე. გაძვირდა შაქარი, უცხოეთის ვალიუტის გაძვირების გამო. ნატეხი შაქარი ფუთი ღირს 6000 ათ. და მეტი, ჰოლანდიური შაქარი ფუთი ღირდა 35 ათ. ქაღ. ლირა. შაქრის ფხვნილი ღირდა ფუთი 1600 ათ. და მეტი. გაძვირდა მთელი რიგი სხვა საქონლებისა, მაგრამ ოქროს და უცხოეთის ვალიუტის კურსის განუწყვეტლივ ზრდის გამო, ფასები გამოურკვეველია. ყუბანის ფქვილი უმაღლესი ხარისხის ფუთი 420—430. სათესი ხორბალი 380—400. ღერღილი—270—280. ამერიკული ფქვილი „ნელსონი“—650. ადგილობრივი 240—250. სიმინდის—140—150. ხორბალი ადგილობრივი 250—220. ქერი 120—125. სიმინდი 100—105. შაქარი რაფინადი ნატეხი ყუთი 3 ტომარი—6000. პარტიობით 35 ათ. ქაღალდ. ლირა. შაქარის ფხვნილი ამერიკული ფუთი 1670. ჩითი საზღვარ-გარეთის იარდი 32—26 პიასტრი. შევიოტი ინგლისური მეტრი 5.50—6 ათ. ქაღ. ლირა. მადეპოლამი ნაჭერი 36 იარდი 2400 და მეტი. საპონი ტოლლე ფუთი 1150. მარმალილოს საპონი ფუთი 800—1020.

საქონლის მოსვლა ბათომში. მოვიდა პაკეს ფირმის გემი „იონე“ რომელმაც მოიტანა: ბოგემის მიწა—500 ფუთი, ტყავების დასამზადებელი ექსტრაქტი ანგლოკონტინენტის საზოგადოებას—1.200 ფუთი და სხვა ფირმებს—800 ფუთი, ამერიკული ფქვილი—3.800 ტომარი, და 2000 ფუთი ფირმა „სოსიფროსის“ შაქარი, 70 000 კილო შაქარი სხვა კერძო ფირმებს, 10 ყუთი კონსერვები, 50 კიპა ლაქა, 63 ყუთი ჩაი ცენტროკავშირს, 60 ყუთი ჩაი ფრანგულ ფირმას „ოპტორგს“.

თბილისის ფულის ბაზარი. 11 დეკემბერს დილიდან ბაზარს დამშვიდება ემჩნევა, თუმცა მოთხოვნილება მეტად ცხოველია. ოქროს 10 მანეთი ღირს 20.40—30,50 ათ. ინგლისური სტერლინგი (ბანკნოტი) 1540—1560 ათ., ოსმალური ლირა ქაღალდის 180—193 ათ. რ. ს. ფ. ს. რ. ფულის ნიშნები 13—13 25 ათ. ერთ მილიონად.

ტფილისის ბირჟა. ტფილისი, 12 დეკემბ. ტფილისის არაოფიციალური ბირჟა 11 დეკემბერს: ოქროს 10 მან.—2.040.000—2.100 000 გირვანქა სტერლინგი (ბანკნოტი)—1,530 000—1,580.000. დოლარი—360 000—400 000. ოსმალური ქაღალდის ლირა—190.000—193 000. საბჭოთა ნიშნები—1,3—1,35 პროც.

სასოფლო-სამეურნეო კულტურის ასაღორძინებლად

მიწად მოქმედების სახალხო კომისარიატის საცდელი ქვე განყოფილება აწარმოებს ენერგიულ მუშაობას თავის დაწესებულებებში სასოფლო-სამეურნეო კულტურის აღორძინებლად. განყოფილებას აქვს საქართველოში შემდეგი დაწესებულებები:

ყარაიაზში (ბორჩალოს მაზრა) საცდელი მინდორი.

სადაც სწარმოებს შესწავლა მინდვრის მცენარეების ჯიშებისა და საუკეთესო ჯიშის თესლების ხალხში გავრცელებლათ.

ქართლის საცდელი მინდორი (მუხრანის მამული).

აქ სწარმოებს სამეცნიერო წესით შესწავლა და წარმოება მემინდვრეობის, მებაღეობისა და მევენახეობის. ამ მამულის განზრახულ გეგმით გაშენების შემდეგ, უფრო მეტი მასალა ექნება უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო განყოფილების სტუდენტებს პრაქტიკული ცოდნის მისაღებად, რაც უკვე დაწყებულია.

აჭამეთის საცდელი მინდორი.

ეს ადგილი უმთავრესი დამახასიათებელი მხარეა დასავლეთ საქართველოს მეურნეობისათვის, სადაც სწარმოებს დასავლეთ საქართველოს სამეურნეო მცენარეების შესწავლა და მათი ნაყოფიერების გაუმჯობესება.

ოზურგეთის საცდელი პლანტაცია.

უმთავრესად გაშენებულია უმაღლეს კულტურის მცენარეები, როგორც არის ჩაი ჩინური და ინდოეთის ჯიშებისა, შემდეგ ნარინჯი, ლიმონი, ფორთოხალი. საცდელ ქვე განყოფილებას განზრახული აქვს აგრეთვე ამ რაიონში განაახლოს თამბაქოს მოყვანა, რაიც ომამდე იძლეოდა დიდ შემოსავალს.

განყოფილების მართველობის ქვეშ არის აგრეთვე ტფილისის და ბათომის ბოტანიკური ბაღები, რომელთაც აქვს საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში განყოფილებები,—მაგალითად: ბაკურიანში, კოლხიდაში და ყარაიაზში.

ტფილისის ბოტანიკური ბაღის სამეცნიერო ლაბორატორიებში და კაბინეტებში სწარმოებს მუდმივი გამოკვლევები, სასოფლო-სამეურნეო მცენარეების მტრებთან ბრძოლის საშუალებების აღმოსაჩენათ, აგრეთვე საქართველოში გავრცელებული ხორბლეულობის ჯიშების შესწავლა და სხვა.

ახალი მიწის კანონის გატარება

ზუგდიდის მაზრა. მიწად-მოწყობისათვის მუშაობა მაზრაში დაიწყო ამა წლის ივნისში. მაზრაში გაგზავნილია 1 მიწად-მომწყობი და 1 მიწის მზომელი. ადგილობრივ ყოველგან მოეწყო საადგილ-მამულო კომიტეტები, რომლებიც მუშაობდენ მიწის-მზომელებთან ერთად. 1 ნოემბრისათვის დათვალიერებულ და მოწყობილია სოფ. კოკში და კახათში 10,056 დესეტინა მიწა. მიწების კატეგორიების მიხედვით დანაწილების შემდეგ მიიღეს 434 ნაჭერი, სივრცით 6875 დესეტინა. იმ მოქალაქეებს, რომელთაც მოეპოვებოდათ მიწები ნორმის ზევით ჩამოერთვათ უმიწაწყლო გლეხებისათვის გადასაცემად. ჩამორთმეულია 372 ნაჭერი მიწა სივრცით 411 დესეტინა. დაუტოვეს წინანდელ მეპატრონეებს 872 ნაჭერი მიწა სივრცით—1332 დესეტინა, ხოლო კულტურულ-განმანათლებელ მიზნის და აგრონომიული ხასიათის საჭიროებისათვის გამოყოფილია 341 ნაჭერი მიწა სივრცით—176 დესეტინა.

ახალ-სენაკის მაზრა აგრარული რეფორმა მაზრაში დაიწყო ივნისში. ცენტრიდან მაზრაში იყო გაგზავნილი 1 მიწადმომწყობი და 2 მიწის მზომელი. მუშაობა სწარმოებდა საადგილ-მამულო კომიტეტთან სრული კონტაქტით და ნოემბრისათვის დათვალიერებული და მოწყობილი იყო 5 სოფელი—4888 დესეტინის სივრცით.

მიწის კატეგორიების მიხედვით დანაწილებიდან მიიღეს 32 ნაჭერი მიწა 2443 დესეტინის სივრცით. იმ პირთ, რომელთაც მოეპოვებოდათ მიწები დაწესებულ ნორმის ზევით ჩამოერთვათ უმიწაწყლო და ცოტა მიწის მქონე გლეხებისათვის გადასაცემად 127 ნაჭერი მიწა სივრცით 130 დესეტინა. დაუტოვეს ნორმათ წინანდელ მიწის მფლობელებს 225 ნაჭერი მიწა სივრცით 331 დესეტინა.

ქრონიკა

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატში.

— **განმარტება მაზრების აღმასრულებელ კომიტეტებს.** ვინაიდან მაზრების ზოგიერთი აღმასკომები არ ასრულებენ მთავრობის განკარგულებებს შინაგან საქმეთა კომისარიატის დაუმოწმებლათ და არ ეხმარებიან სახელმწიფო სხვადასხვა დაწესებულებების მიერ დავალებებით აღჭურვილ წარმომადგენლებს თუ უკანასკნელთ არა აქვთ შინაგან საქმეთა კომისარიატის მოწმობები—შინაგან საქმეთა კომისარიატი განმარტავს ყველა სამაზრო აღმასკომების და ავტონომიურ ერთეულების საყურადღებოთ, რომ ხსენებულ შემთხვევებში კომისარიატის მიერ არავითარი დამოწმება არ არის საჭირო და აღმასკომები ვალდებულნი არიან საჭირო და აუცილებელი დახმარება აღმოუჩინონ მთავრობისა და სხვადასხვა სახელმწიფო დაწესებულებების წარმომადგენლებს დავალებულ საქმეების შესასრულებლათ.

იუსტიციის სახ. კომისარიატში.

— **ტვირთზიდვის ხარკის შეცვლის წესი სოფლად.** იუსტიციის სახალხო კომისარიატის საკანონმდებლო განყოფილებამ შეიმუშავა დადგენილების პროექტი სოფლად ტვირთზიდვის ხარკის შეცვლის შესახებ. ტვირთზიდვის ხარკის ფულით შეცვლა უნდა გადაიხადონ იმ მოქალაქეებმა, რომელთაც მიმდინარე წლის განმავლობაში არ მოუხდიათ ბეგარა ნატურით.

ქალაქის აღმასკომში.

— **სამოქალაქო გადასახადის შემოღება.** ქალაქის აღმასკომის პრეზიდიუმმა, თანახმად ამხ. თედო ღლონტის მოხსენებისა, დაადგინა, შემოღებულ იქნას სამოქალაქო გადასახადი, აღნიშნულ გადასახადის გასატარებლად პრეზიდიუმმა უკვე აირჩია კომისია შემდეგი შემადგენლობით: თავმჯდომარეთ აღმასკომის წარმომადგენელი—გიგო კიკნაძე, წევრები: საფ. განყოფილების გამგე ან მისი მოადგილე, მ. გ. ი. გამგის მოადგილე ამხ. აღლაძე, პროფკავშირთა საბჭოს წარმომადგენელი, ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელი და სტატ. განყ. გამგე ამხ. არ. რუხაძე.

— **კომუნალურ განყოფილების გამგეს დანიშვნა.** ამავე სხდომაზე პრეზიდიუმმა დაადგინა კომუნალურ განყოფილების გამგეთ დაინიშნოს ამხ. სიმონ ღლონტი.

— **დამწვარი სახლების აღდგენა.** პრეზიდიუმმა პრინციპიალურად მიიღო საკითხი დამწვარ სახლების აღდგენის შესახებ, რისთვისაც წინადადება მისცა საფინანსო განყოფილებას შეადგინოს დამწვარ სახლების სია, რომელთა აღდგენა ქალაქს მისცემს საშვალებას ბინის სივიწროვის გამო. აღნიშნულ სახლების აღსადგენად დაინიშნოს საჯარო შეჯიბრება მათი იჯარით გასაცემათ და ყველა მსურველებმა წინასწარ წარმოადგინონ ამა თუ იმ სახლის შესახებ თავისი პირობები.

— **ხარჯთ აღრიცხვა.** პრეზიდიუმმა დაამტკიცა ქალაქის 2 საავადმყოფოს შენობის შესაკეთებლათ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვა, რომელიც გამოიხატება 350,710,000 მან. ხოლო 1-ლ საავადმყოფოსათვის ბარაკების შესაკეთებლათ დაადგინა გადეცულ იქნას 170,900,000 მან.

— **სპეც-ტანისამოსი 1-ლ საავადმყოფოს.** პრეზიდიუმმა აგრეთვე დაადგინა ქალაქის 1-ლ საავადმყოფოს მიეცეს 130,710,000 მ. სპეც ტანისამოსის შესაძენათ.

სასურსათო კომისარიატში

— **საულუფო პურის ღირებულება.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა უკვე განსაზღვრა ღირებულება იმ პურისა, რომელიც მუშა-მოსამსახურეებს ოქტომბრისა და ნოემბრის განმავლობაში დაურიგდათ. ოქტომბერში გაცემული გირვანქა პური შეფასებულია 4.500 მან, ხოლო ნოემბერში გაცემული—5 ათასი მან, ეს ფასი დაწესებულია იმ დაწესებულებათა მუშა-მოსამსახურეებზე, რომელნიც სახელმწიფოებრივ მომარაგებაზე არ იმყოფებიან და გადასულნი არიან სამეურნეო ანგარიშზე.

— **აჭარის სასურსკომსა და ბათომის მუშკოპს** შორის მომხდარი უთანხმოების გამოსარკვევად და მათი ანგარიშების ცნობაში მოსაყვანად სახალხო სასურსათო კომისარიატმა საჭიროდ დაინახა შედგენილ იქნეს საგანგებო კომისია, რომელშიაც შევა თითო წარმომადგენელი: სახალხო სასურსათო კომისარიატისა, მუშათა და გლეხთა ინსპექციისა და ტფილისის მთლიან მუშათა კოოპერატივისა.

— **ხელშეკრულებათა დადების წესი.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა ცირკულიარულად წინადადება მისცა ყველა სამაზრო სასურსათო კომიტეტს, რათა არავითარი ხელშეკრულება არ დასდონ ცენტრის უდასტუროდ. ის ხელშეკრულებანი, რომელიც უკვე დადებულია, გადათვალიერებულ იქნება და რომელიც მათში მიუღებელია სასურსათო კომისარიატისთვის დარღვეულ იქნება.

— **ცენტრო-საწყობის დამზღვევა.** სახალხო სასურსათო კომისარიატმა დაადგინა, დაზღვიოს ერთი წლის ვადით ცენტრო-საწყობი დამზღვევ სამმართველოში.

შრომის კომისარიატში

ბათომის შრომის განყოფილება.

— **შრომის ტვირთ ზიდვის გადასახადი.** ქალაქის საგადასახადო უწყების საბუხჰალტერო ცნობების თანახმად, 5 ოქტომბრიდან 4 დეკემბრამდე აკრეფილია შრომის ტვირთზიდვის გადასახადი 2,114,395,000 მანეთი ქართული ბონით და 3,782½ მანეთი ოქროთი. ამას გარდა, ოქროს კურსის აწევის და 25 ოქტომბრიდან ყოველ დღიური 25,000 მან. ჯარიმის მომატების გამო, შემოვიდა 1,770,000 მანეთი.

— **შემოსავალ გასავალი დამზღვევ სახლში.** ოქტომბრის განმავლობაში დამზღვევ სალაროს შემოსავალი უდრის—2,984,000 მანეთს ქართული ბონით, 4,400,70 ოსმალურ ქაღალდის ლირას და 184 დოლარს. ამავე ხნის განმავლობაში გასავალი ალიმენტები—3,995,428,000 მანეთს ქართული ბონით, 4761,04 ოსმალური ქაღალდის ლირას და 184 დოლარს.

— **პროფკავშირის წევრების გადასახადისაგან განთავისუფლება.** შრომის კომისარიატთან არსებულმა სპეციალურმა კომისიამ—პროფკავშირის წევრები გაანთავისუფლა შრომის ტვირთ ზიდვის გადასახადისაგან და დაურიგა მათ სათანადო მოწმობები.

დამზღვევ კასაში.

დაჯარიმებულნი არიან ნოემბერში პროცენტების დამზღვევ ფონდში გადარიცხვის დადგენილების დარღვევისათვის შემდეგი პირები და წარმოებები: 1) „ქიმერიონი“—5 მილიონი, 2) ბოიაჯანი (სადამოქნო ქუჩა № 11)—544 ათასი მანეთი. 3) „აბრეშუმი“—255 ათასი მან., 4) „ბავშვთა გამოკვება“ (კამოს ქ. 41)—1.380 ათასი მან., 5) მუსერიძე (მილიუტინის ქ. № 15)—279 ათასი მან., 6) მელიქიანი (მუხრანის ქ. № 4)—228 ათასი მან, 7) ნაჯაროვი (ოლგინის ქ. № 27)—607 ათასი მან., 8) ვართანაშვილი (პუშკინის ქ. № 4)—305 ათასი მან., 9) ადამიროვი (ობსერვატორიის ქ. № 4)—774 ათასი მან., 10) „კავკასია“ (პლეხ. ქ. № 52)—748 ათას მ., 11) „ნოე“ (პლეხ. ქ. № 103)—1.585 ათასი მან., 12) როსტომოვი (პლეხანოვის ქ. № 192)—500 ათასი მ., 13) ნარავიანი (ელისაბედის ქ. № 218)—921 ათასი მ, 14) ალაქერ-სატარ-ოღლი (ვორონცოვის ქ. № 24)—1.434 ათასი მ., 15) მეჩექმეთა პირველი შრომის არტელი შრომის სახალხო კომისარიატისა (თავისუფლების მოედანი № 1)—2.495 ათასი მ., 16) კარაპეტიანი (ჩერქეზოვის ქ. № 60)—345 ათასი მ., 17) ნედელკინი (თეატრის ქ.)—1 მილიონი მ., 18) დარავულიდი (ნეკრასოვის ქ. № 18)—124 ათასი მ. 19) ბეჟანიშვილი (მეტეხის აღმართი)—63 ათასი მან, 20) ენრიკიანი (ლაზარევის ქ. № 14)—304 ათასი მ., 21) საუწნოსატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება (ელისაბედის ქ.)—41.289 ათასი მ. სულ დაჯარიმებულია 21 პირი და დაწესებულება 60.485 ათასი მანეთით.

კრებები და მოხსენებები

— ხუთშაბათს, 14 დეკემბერს, საღამოს 7 ნახ. საათზე საბჭოთ ინსტიტუტში (ოლღას ქუჩა № 50) შესდგება ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოების მორიგი კრება, რომელზედაც პროფ. ალ. ჯავახიშვილი წაიკითხავს მოხსენებას: კავკასიის თანამედროვე მოსახლეობა ანთროპოლოგიური თვალსაზრისით. მოხსენებას თან დართული ექნება გუნდოვანი სურათები.

— ხუთშაბათს 1922 წლის 14 დეკემბერს რკინისგზელთა სანიტარულ განათლების აუდიტორიაში ჩერქეზიშვილის ქ. 108, გაიმართება ექიმ ჩალიძის მორიგი ლექცია ქართულ ენაზე „სიფილისი და ვენერიული სნეულებანი“. დასაწყისი 6 საათზე. შესვლა უფასოა.

— კვირას 17 დეკემბერს დილის 12 საათზე ამხ. ანდრეევის მოხსენება: ესპერანტო—როგორც პედაგოგიური საშუალება.

სასურსათო გადასახადის კამპანია

-სულ რამდენია აკრებილი?

სახალხო სასურსათო კომისარიატის ოფიციალურ დოკუმენტალურ ცნობით აღმოსავლეთ საქართველოს ათს მაზრაში, სადაც წლევანდელ სასურსათო გადასახადის შეგროვება სწარმოებს, დეკემბრის 12 სათვის შეგროვილია 569 297 ფუთი ხორბლეულის ერთეული, ანუ 99,2 პროცენტი ამ მაზრებზე შეწერილ გადასახადისა.

ამ რიგად შესაგროვებელია სულ 0,8 პროცენტი, ანუ 5.436 ფუთი ხორბლეულის ერთეული. გადასახადის შეგროვება არ დასრულებულა მხოლოდ დუშეთისა და თიანეთის მაზრაში.

ხელოვნება

იაკობ ნიკოლაძის იუბილე

ორშაბათს, 11 დეკემბერს, სრულიად საქართველოს ხელოვანთა კავშირების მთავარ კომიტეტის თაოსნობით გაიმართა მოქანდაკე იაკობ ნიკოლაძის იუბილე 25 წლის შემოქმედებითი მოღვაწეობის დაწყების დღიდან. თეატრი სავსეა ხალხით. ფარდა აიხადა სრულ 9 საათზე. რამპასთან დგას თვით ნიკოლაძის პორტრეტი მხატვარი ქალის მ ღლაშვილის მიერ დახატული. სცენა მოწყობილია ნიკოლაძის ნაწარმოებებით. ქანდაკებებში პირდაპირ მაღლა ამართულია შოთა რუსთაველის ძეგლი, მის გასწვრივ უფრო დაბლა აკაკი წერეთლის აპოლონისებური ფიგურა მზით სავსე მარცხნით იოკანაანის მოკვეთილი თავი, სალომე რომ კოცნის, შემდეგ ჩამწკრივებულია მრავალი ძეგლები, რომლებიც მაყურებლების ხედვას ჯადოსნური სიჩუმით ერთი-მეორეს არ ანებებენ. გამოდის ივანე გომართელი, რომლის სიტყვითაც იწყება იუბილე შემდეგ ვახტანგ კოტეტიშვილი ახასიათებს ნიკოლაძის შემოქმედებას, როგორც მოქანდაკისას. მეორე განყოფილებაში სცენაზე სხედან საიუბილეო კომიტეტის წევრნი და წარმომადგენელნი. იუბილიარი შემოყავთ სუმბათაშვილ-იუჟინს და საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე მაყაშვილს. ხალხი ფეხზე ამდგარი ახურვალე ტაშის ცემით და ოვაციებით ეგებება მას. იუბილიარს ულოცავენ წარმომადგენლები: განათლების კომისარიატის—შალვა დადიანი და აცნობებს სახალხო განათლების კომისარიატის გადაწყვეტილებას, რომ მას ეწოდა „სახალხო მოქანდაკე“... სახელოვნო კომიტეტის—ტიციან ტაბიძე, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის—ლეო ქიაჩელი, ახალი მწერლობის კავშირის—პაოლო იაშვილი, დავით კლდიაშვილი, მთავრობის სახელით—არჩილ მიქაძე (გადასცა 50 მილიონი და აღუთქვა სრული უზრუნველყოფა), პროფესიონალურ კავშირების—გიორგი ყურულიშვილი (გადასცა 10 მილიონი), ფინანსთა კომისარიატის—ელისაბედაშვილი (გადასცა 25 მილიონი), მსახიობთა კავშირის—აკაკი ვასაძე და შემდეგ იუბილიარს ულოცავენ მთელი რიგი საზოგადო და კულტურულ დაწესებულებების წარმომადგენელნი. დასასრულ იუბილიარს ულოცავს ბრწყინვალე დღესასწაულს სუმბათაშვილი-იუჟინი, რომელსაც ხალხი ხვდება მხურვალე ტაშით, რის შემდეგ იუბილიარი სამადლობელი სიტყვით მიმართავს საზოგადოებას.. საზეიმო სხდომის დასრულების შემდეგ იუბილიარი მიყავთ კაფე „არტისტოში“ საგანგებოთ გამართულ ბანკეტზე. იაკობ ნიკოლაძის სადღეგრძელოს დროს ბანკეტზე სიტყვები წარმოსთქვეს სუმბათაშვილ-იუჟინმა, პაოლო იაშვილმა, ვახტანგ კოტეტიშვილმა, ტიციან ტაბიძემ და კარპეზ მოდებაძემ. ბანკეტმა მიიღო განსაკუთრებული ზეიმის ხასიათი, როცა იაკობ ნიკოლაძემ სუმბათაშვილის სადღეგრძელოს შემდეგ გამოაცხადა, რომ სუმბათაშვილი, ჩემი მასწავლებლის როდენის მიერ გაკეთებულ ქანდაკებას—ვიქტორ იუგოს, რომელიც როდენმა გააკეთა სპეციალურათ სუმბათაშვილისათვის, უძღვნის საქართველოს. შემდეგ ლექსები წაიკითხეს—პაოლო იაშვილმა, ვარლამ რუხაძემ, ტიციან ტაბიძემ, ვალერიან გაფრინდაშვილმა, შალვა აფხაიძემ, გიორგი ლეონიძემ და რაჟდენ გვეტაძემ. ბანკეტზე დამსწრეთა რიცხვი აღწევდა ასამდე, რომელსაც დაესწრნენ მთავრობის წარმომადგენელნიც

X.

— **სახელმწიფო ოპერა.** დღეს, ოთხშაბათს 13 დეკემბერს „რიგოლეტო“ მონაწ. პოპოვა, ლევიცკი, გორელოვი, საბინი და სხ.

— **მე 2 კონსერვატორიაში.** განათლების კომისარიატის ცნობით მე 2 კონსერვატორიაში ამ ჟამათ ირიცხება 8 პროფესორი, 17 უფროსი მასწავლებელი და 26 მასწავლებელი. მოსწავლეთა საერთო რიცხვი უდრის 825 კაცს. მათ შორის მამაკაცი 20.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერა—რიგოლეტტო პოპოვას, ერმოლინსკაიას, ნეიმანის, ლევიცკის, გორელოვის, საბინის და სხვათა მონაწილეობით. რუსთაველის თეატრი. სომხური დრამა—დაძირული ზარი. ახალი თეატრი—ქალების პური. სახალხო სახლი—სახელმწიფო თეატრების დამსახურებული მსახიობების გლაგოლსკის და ვალერსკის მეორე გასტროლი. „რომანი“. კონსერვატორია—ტერ-დანიელიანის კონცერტი. ცენტრ. მუშათა კლუბი ლილიპუტების გასტროლი. არტისტო ტარზანის ქალიშვილი, 6 სერია. კინო ზერკალნი, აღმოსავლეთის ქალი. კინო-პალას—ტარზანის ქალი მე 6 სერია. კინო-აპოლო—ეკატერინე დიდი. კინო ალკრე—შავი ოჯახი. ცირკი—სხვა და სხვა პროგრამა და ფრანგული ჭიდაობა.

სად მარხია ძაღლის თავი

(წერილი რედაქციის მიმართ)

ერთი თვის წინეთ გაზ. „კომუნისტში“ (№ 270) დაბეჭდილი იყო მოქ. მეტრეველის წერილი, რომელშიაც ის ხოტბას ასხამდა საბჭოთა ძალაუფლებას და შემდეგ იერიში მოჰქონდა ღვინის ტრესტის გამგეობის წინააღმდეგ.

რამოდენიმე დღის შემდეგ ამავე გაზეთში დაიბეჭდა გამგეობის ყოველმხრივი განმარტება—პასუხი დაბეჭდილ წერილზე და თან დართული იყო ყოველივე დოკუმენტები, რაც კი საქმეს შეეხებოდა.

მაგრამ „პოლემიკა“ ამით არ დამთავრდა. სწორეთ მესამე დღეს იმავე მოქ. მეტრეველმა და მასთან მოქ. ზოდელავამ მოათავსეს ერთად ორი „გამქიქავი“ წერილი.

ალბათ გამგეობის პასუხი ვერ სცნეს დამაკმაყოფილებლად.

რა ცოდვებს აბრალებს ტრესტს მოქ. მეტრეველი და ზოდელავა?

მათი ბრალდება შესდგება სამი მუხლისაგან.

1 მეტრეველი ამტკიცებს, ღვინის ტრესტმა შეკრა პირობა ვინმე სოკოლოვთან, რომ მოეტანა 5,000 ფუთი სიმინდი თითო ფუთი 130,000 მან. მაშინ, როდესაც თურმე ფუთი სიმინდი ღირდა არა უმეტეს 70—80 ათას მანათისა.

2. ტრესტმა უარი უთხრა გომის კოოპერატივს, ჩაებარებინა სიმინდი 105,000 მანეთად ფუთი და გამგეობამ თითქოს არჩია შეთანხმება სოკოლოვთან.

3. ტრესტმა დაითხოვა თანამდებობიდან ზოდელავა, გომის ქარხნის გამგე, რომელმაც, როგორც ამტკიცებენ, დიდი სარგებლობა მოუტანა საბჭოთა ძალაუფლებას და აღადგინა გომის ქარხანა.

აი ასეთი მომაკვდინებელი ცოდვები ნახეს ჩვენში „გამქიქველებმა“.

ვნახოთ, როგორ არის საქმეები ნამდვილათ.

1. ხელშეკრულობა სოკოლოვთან გამგეობამ შეკრა 11 სექტემბერს, როდესაც სიმინდის ფასი იყო 160—170 ათასი მან. და სხვა და სხვა წინადადებებთან შედარებით, მისი პირობები იქნა ცნობილი იმ მომენტისათვის ყველაზედ უფრო სასარგებლოთ ტრესტისათვის. პირობა მასთან დადასტურებულ იქნა ცენტრალურ სავაჭრო სამმართველოსაგან, რომელმაც კარგად იცოდა სიმინდის მაზანდა იმ ხანში.

ამასთან უნდა აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ მეტრეველი იყო მაშინ გომის კოოპერატივის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე და ამ კოოპერატივმა სოკოლოვის პირობის გაცილებით შემდეგ წინადადება მისცა ტრესტს მოეტანა სიმინდი 105 ათას მანეთად.

თუ, როგორც ის ამბობს, სიმინდი მართლა 70—80 ათასი ღირდა, ნუ თუ დასაშვებია, რომ კოოპერატივს ტყავი გაეძრო სახელმწიფო დაწესებულებისათვის?

იმის მტკიცება, რომ სიმინდი სექტემბრის დასაწყისში იმ რაიონში ღირდა 70—80 ათასათ ნიშნავს ფაქტების დამახინჯებას და განზრახ მოჭორილ სიყალბეს.

2. როდესაც გომის კოოპერატივის წინადადება მიიღო ტრესტმა, მაშინვე დაეთანხმა მის პირობებს, მაგრამ რომ ქარხანა უზრუნველეყო სიმინდით, დაუდო ვადა 10 ოქტომბრის, როდესაც თავდებოდა ხელშეკრულობა სოკოლოვთან. მაგრამ კოოპერატივი უკან მიუხდა, არავითარი პასუხი არ მოგვცა, თუმცა ვადამდე ერთი დღე კი არ რჩე-

---

*) იხ. „კომუნისტი“ № 285.

მუშათა ცხოვრება

ხე-ტყის სახერხი ქარხანა

ეს ქარხანა სატყეო კომიტეტის გამგებლობაშია. ქარხანაში სატყეო მასალის თადარიგი გამოილია და მუშები ერთობ გაჭირვებულ მდგომარეობაში ვიმყოფებით. აგერ რამდენიმე ხანია მუშაობა არ სწარმოებს. არ ვიცით რა მიზეზია, რომ ეს ასე მოხდა. კერძო ქარხნები თუ მუშაობენ და მასალასაც შოულობენ, სატყეო კომიტეტს რა დაემართა.

ადგილკომი გვყავდა ახალგაზრდა კომუნისტებისაგან შემდგარი და ისინიც სამხედრო სამსახურში გაიწვიეს. არ ვიცით, მუშაობა განახლდება თუ არა. სასურველია ქარხნის ადმინისტრაცია გამოარკვევდეს მდგომარეობას.

ვ—ი

კონსერვების ქარხანა ნავთლუღში

ქარხანა უკვე ინტენსიურათ მუშაობს და დიდძალ კონსერვებს ამზადებს. ამ ქარხანაში სულ 11 მუშა ვმუშაობთ. ქარხნის ადმინისტრაციასთან დადებული გვაქვს კოლექტიური ხელშეკრულება. შრომის ხელფასი მცირეა, მაგრამ ქარხნის მაშინდელ მდგომარეობას ქონდა ანგარიში გაწეული. ახლა ქარხანა ორჯერ და სამჯერ უკეთეს მდგომარეობაშია. ამიტომაც ეს საკითხი ხელახლა უნდა დაისვას.

მაგრამ ეს კი არა, ძველ პირობასაც არ ასრულებენ სავსებით. კოლექტიურ ხელშეკრულებით სავალდებულოა საწარმოო ულუფის მიცემა. აგერ სამი თვე გადის და ასეთი ულუფა ჩვენ თვალით არ გვინახავს. საჭიროა ადგილკომი იზრუნებდეს და ამ პირობის შესრულება მოსთხოვდეს ვისაც ჯერ არის.

მუშები საბჭოთა ხელისუფლებას დიდი თანაგრძნობით ეპყრობიან. ოქტომბრის რევოლიუციის 5 წლის თავზე ამ ქარხნის მუშებს ეწვია ნავთლუღში მდგარი ჯარის ორი ნაწილი. მუშები თავის მცირე ხელფასიდან მათ გაუმასპინძლდენ 800 კილოგრ. კონსერვით.

ვ. ქ.

ქ. ტფილ. წყალსადენი

კვირას, 3 დეკემბერს, დანიშნული იყო თბილისის წყალსადენის მუშა-მოსამსახურეთა ექსკურსია, რომლის დანიშნულება იყო შემდეგი: ავჭალის წყალსადენის სადგურის დათვალიერება, მასთან დაახლოებით გაცნობა და შემდეგ ამისა ლექცია ინჟინერ დიასამიძისა.

დილის ცხრა საათზე მუშა-მოსამსახურენი უკვე შეგროვილნი იყვენ თბილისის წყალსადენის ცენტრალურ სახელოსნოში, დაიმედებულნი, რომ ათ საათზედ ავტომობილები მზათ იქნებოდა და გაემგზავრებოდენ ავჭალის წყალსადენზე.

სამწუხაროდ ეს ასე არ მოხდა. შუადღის პირველ საათამდე მოუხდათ ლოდინი და მხოლოდ მაშინ გამოჩნდენ ავტომობილები, რის დანახვაზედაც სახე გაუბრწყინდათ იმედდაკარგულ მუშებს. დაახლოვებით საათის სამი იქნებოდა, როდესაც ავჭალის წყალსადენის სადგურზედ მივედით. მუშა-მოსამსახურენი წავიდ-წამოვიდენ სამანქანო განყოფილებების და სხვა მოწყობილებათა დასათვალიერებლათ. ამის შემდეგ იწყეს შეგროვება ამხ. ჯ. ფარიძის სახელობის კლუბში ლექციის მოსასმენათ, მაგრამ დიასამიძის არ ყოფნის გამო ლექცია არ შესდგა.

შემდეგ გადაღებულ იქნა საერთო სურათი, და გამოვეშურეთ ტფილისისაკენ.

ექსკურსიამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება დასტოვა მუშა-მოსამსახურეებზედ და უფრო კარგ შთაბეჭდილებას დასტოვებდა, რომ ყოველივე ეს წინასწარ შემზადებული ყოფილიყო.

ამ შემთხვევაში არ შეგვიძლიან საყვედურით არ მივმართოთ ადგილკომის წევრებს, რომელთაც თითქმის არავითარი აქტივობა არ გამოუჩენიათ ამ დღეს, და აი სწორეთ ეს უნდა ჩაითვალოს უმთავრესს მიზეზად დაგვიანებით წასვლისა და ლექციის გადადებისა.

იქ მუშა.

ტრამვაის მუშა-მოსამსახური

ჩვენი დარგის მუშათა უმრავლესობას მეტად ცუდი ბინები გვაქვს. სანახევროთ ნესტიან სარდაფებში ვცხოვრობთ მხოლოდ მცირე ნაწილი ცხოვრობს მუშათა სახლებში.

ჯამაგირს ყოველთვის თავის დროზე გვაძლევენ. მხოლოდ ახლა დაგვიკლეს დღიში 6—7 ათასი მანეთით. გვეუბნებიან პური გაიაფდაო თითქოს მარტო პურით ვცხოვრობდეთ. პური რომ გაიაფდა, სხვა რამეები გაძვირდა. ამას რისთვის არ კითხულობენ.

სამკურნალო საქმეც არაა კარგათ მოწყობილი. ავადმყოფი, რომელსაც 15 დღე ივადმყოფა, საავადმყოფო კასიდან ყოველგვარ დახმარებას მოკლებული დარჩა. არც ავანსი მიუღია.

ტრამვაელი.

ბოდა არამედ თითქმის ორი კვირა.

ცხადია, რომ თუ კოოპერატივმა სიმინდი ვერ ჩაიბარა, ეს არ არის ტრესტის ბრალი, არამედ თვით კოოპერატივისა

3 მოქ. ზოდელავა, რომელსაც სთვლიან ქარხნის აღმდგენელად, მიღებულ იქნა სამსახურში მაშინ, როდესაც ქარხანა უკვე ამუშავებულიყო. ის იქნა დათხოვნილი სამსახურიდან იმისთვის, რომ თვითნებურად შეკრა პირობა ვინმე თაქთაქიშვილთან.

მოქ ზოდელავამ კარგად იცოდა, რომ გამგეობამ უარყო პირობა თაქთაქიშვილთან, მაგრამ მან მაინც თვითნებურათ შეუკრა პირობა, რისი უფლება ტრესტის ნება დაურთველად მას არ ჰქონდა. ყველ ფერი ეს კარგად იცოდა ზოდელავამ, მაგრამ მაინც შეეკრა პირობით თაქთაქიშვილს და ეს არც კი ამცნო გამგეობას.

საინტერესოა, რას წარმოადგენს ეს ხელშეკრულება თაქთაქიშვილთან.

თაქთაქიშვილს უნდა მოეტანა გომის ქარხანაში 1) 3,000 ფუთი სიმინდი, რაც ღირს თითო ფუთი მაზანდის მიხედვით 100 000 მან. სულ 300 მილ. 2) 600 ფუთი ქერი—თითო ფუთი 100.000 მან. სულ 60 მილიონი და 3) ორი ცისტერნა მაზუთი სულ 114 მილ. მან. რაც შეადგენს ჯამს სულ 474 მილ. მან.

3.600 ფუთი ხორბლეულობა ორი კვირის განმავლობაში იქცევა სპირტად და გამოხდილი სპირტისაგან მას უნდა მიეღო ნახევარი.

თითო ფუთი იძლევა 38-40 გრადუს სპირტს. რომ მივიღოთ მარტო 38 გრადუსი (3.600×38) გამოვა 136.800 გრადუსი, ანუ 1,425 ვედრო.

თაქთაქიშვილს უნდა მიეღო ნახევარი, ესე იგი 712,5 ვედრო სპირტი. თითო ვედრო იყიდებოდა გადახდილის აქციზით 3 მილ მან. და კასრებით გაყიდვის დროს—2 800.000 მანეთად, რომ ვიანგარიშოთ ეს უკანასკნელი ფასი 712,5 ვედრო შეადგენს საერთო ჯამს 1.995 000.000 მანეთს. ამნაირად თაქთაქიშვილი ხარჯავდა კაპიტალს 474 მილიონს და ღებულობდა სამაგიეროთ ორი კვირის განმავლობაში ორ მილიარდ მანეთამდის ღირებულ სპირტს, მაგრამ ეს პირობაც არ იყო მისგან დაცული, რადგან სპირტი იხდებოდა ფაქტიურად ქარხნის მაზუთით.

აი როგორი პირობა შეკრა ცნობილმა ზოდელავამ გამგეობის ნებადაურთველად და მისი დადგენილების წინააღმდეგ.

ამის შემდეგ მოქ. ზოდელავას ყოფნის სითამამე და თავხედობა, გამოვიდეს თავის დასაცველად.

ნუ თუ ტრესტს შეეძლო, რომ ის ერთის წამითაც დაეტოვებინა ქარხნის გამგეთ. გამგეობამ ის დაუყოვნებლივ გადააყენა თანამდებობიდან და ხელშეკრულება თაქთაქიშვილთან გამოაცხადა გაუქმებულად.

მაგრამ რა მიზეზია, რომ ზოდელავამ და მეტრეველმა გამართეს კამპანია ტრესტის წინააღმდეგ. რაც შეეხება ზოდელავას, ცხადია, რომ მან დაჰკარგა თბილი ადგილი, სადაც ის მოელოდა ხელი კარგად მოეთბო.

გასაგებია, რატომ ჰყრის ზოდელავა დორბლებს ტრესტის წინააღმდეგ.

რაც შეეხება მოქალაქე მეტრეველს, იმასაც თავისებურათ აქვს საქმე.

ის გომის ქარხანა, რომელსაც მეტრეველი ასე გატაცებულად იცავს, უნდა ყოფილიყო მეტრეველის კუთვნილება თუ მთელად არა, ნაწილი მაინც. მეტრეველი უჩიოდა გომის ქარხნის ყოფილ პატრონებს ზოდელავას ნ. ტუსკიას რომ მათ მიისაკუთრეს ქარხანა, რომლის კანონიერი მემკვიდრე არის მისი მეუღლე.

მაგრამ საბჭოთა ხელისუფლების შემოსვლისას ასეთი საჩივრები მოქ. მეტრეველისა რჩებიან უშედეგოთ.

მიუხედავად ამისა „მემკვიდრე"-ს იმედი არ დაუკარგავს ქარხნის დაბრუნებისა და სცდილობს როგორმე დაშალოს ტრესტი, რათა ქარხნები დაუბრუნდეს ყოფილ მეპატრონეებს.

მოქ. მეტრეველო, უნაყოფოა თქვენი ცდა. საბჭოთა ხელისუფლება მტკიცეა, მტკიცე იყო, როგორც არასდროს არ ყოფილა და არავითარი ხრიკები არ გიშველით.

დარჩა კიდევ მოწინავე წერილი გაზეთ „კომუნისტ" ში № 271. ეხებარა, მაგალითად, ორეხოვ-ზუევის ტრესტს, პატივცემული „კომუნ." რედაქცია მოითხოვს სახელმწ. ტრესტების დაწვრილებით რევიზიას. ჩვენი სამეურნეო ორგანოები რევიზიას არასდროს არ უარყოფენ. სწორად დაყენებული რევიზია, ძირშივე სწყვეტს ყოველნაირ ცილისწამებას, როგორც არის მეტრეველისა.

ამ მოწინავე წერილის გამოსვლისთანავე დაენიშნე რევიზია ყველა საკონტროლო ორგანოების წარმომადგენლებისაგან. ეს რევიზია თუმცა ჯერ არ გათავებულა, მაგრამ დარწმუნებით შემიძლია ვსთქვა, რომ მისი გათავების შემდეგ ზოდელავასთანა პირები, როგორც არ უნდა იკვეხონ თავის მოღვაწეობით, მაინც იქნებიან ყველგან დევნილნი.

ტრესტის გამგე ხ. აგატკოვი.

პროვინციაში

აბაშის რაიონი

(სენაკის მაზრა)

ამ რაიონში ოქტომბრის ბოლო რიცხვებში მომხდარმა სტიქიურმა უბედურებამ, წყალდიდობამ მოსახლეობას ყოველმხრივ აუწერელი ზარალი მიაყენა.

წალეკულია მთელი წლის მოსავალი, მსხვილ და წვრილ ფეხა პირუტყვი, შინაური ფრინველები, დარჩენილ პირუტყვისთვისაც არ არის საკვები ჩალა; ვისაც ცოტა სიმინდი დაურჩა, ისიც ნახევრათ დამპალია, ისეთი ამყრალებული და ჯანმრთელობისათვის მავნე ნალექი დარჩა, რომ შეუძლებელი გახდა ასეთ ადგილებში ცხოვრება.

სამაზრო და ადგ. ხელისუფლებამ გაჭირვების დროს მცხოვრებთ დიდი დახმარება აღმოუჩინა.

შემდეგ, კვათანის თემის სოფ. [illegible]რობასის 26 მოსახლე გადასახლებულია ამავე თემის სოფ. პატარა კვათანაში.

თვით მცხოვრებთ გადაწყვეტილი ჰქონიათ: მათი ეკლესიის შენობა გადასცენ მასალათ კომისიას, რომელმაც უნდა ააშენოს დაბა აბაშაში კლუბი.

ნაისაკოვის თემიდან 90 დე მცხ. „ლანჩარა" შია გადასახლებული.

დანარჩენთათვის სასწრაფოთ უნდა იქნას მიღებული ზომები, რომ დასახლებულ იქნენ შესაფერ ადგილზე.

მიეცა თემებში სესხათ ღარიბ მცხოვრებთ რამოდენიმე ასეული ფუთი სათესლე ხორბალი, მაგრამ ეს წვეთია ზღვაში.

იმ ადგილებში, სადაც წყალი გადიოდა, გახსნილია საექიმო-საფერშლო პუნქტები, ეძლევათ უფასოთ წამლები სამაზრო აღმასკომის ანგარიშზე.

საქართ. წითელი ჯვრის საზოგადოების წარმომადგენლებმა 3—4 დეკემბერს ნაისაკოვის, სუჯუნის და კვათანის თემებში უფასოთ დაურიგეს წონით 25 ფუთი სხვა და სხვა ტანთ საცმელი.

დაზარალებულთა აღწერა მაშინვე დაიწყო, მაგრამ ზოგიერთები არიან გამორჩენილი, საჭიროა მათი დაუყოვნებლივ აღრიცხვაც.

საქ. ცენტრ. დამშეულთა დამხმარე კომიტეტის მიერ სენაკის მაზრაზე გაცემულია ჯერ ასი და შემდეგ ოთხასი მილიონი მან. სასწრაფო დასახმარებლათ.

საჭიროა კიდევ დიდი დახმარება, რასაც მცხოვრებნი მოუთმენლად მოელიან საბჭოთა მთავრობისაგან.

მთავარი მდინარე, რომელიც წყალდიდობის დროს არღვევს ნაპირებს და მოსახლეობას წალეკვით ემუქრება, ეს არის გ[illegible]ჯა და მოუსვენარი ცხენის წყალი. ასეთი თვისება მას დიდი ხანია აქვს და კიდევაც—აწარმოებს გამანადგურებელ და დამღუპველ მოქმედებას.

ცარიზმის და მენშევიკების ბატონობის დროს, როგორც ჩვეულება ჰქონდათ, მთელი წლობით პროექტებს ადგენდენ ნაპირების გასამაგრებლათ და „მუშაობაც" დაიწყეს, მაგრამ სრულიად უნაყოფო.

გასაბჭოების შემდეგ ადგ. მთავრობამ და ცენტრმა დიდი ყურადღება მიაქცია მდინარის ნაპირების გამაგრების საქმეს და ამაზე დაიხარჯა რამოდენიმე ასეული მილიონი მანეთი.

კიდევაც დადებითი შედეგებს მივაღწიეთ დამბების და შპორების გაკეთებით; აღსანიშნავია, რომ რაიონის მცხოვრებთ გადახდათ დიდი ჯაფა და ჭაპან წყვეტა.

დამბები და შპორები გაკეთებულია წნელისა და ქვისაგან; ეს საშუალება დროებითია. მომავალში ყოველივე საშიშროების თავიდან ასაცილებლათ საჭიროა ვიწრო ლიანდაგი რკინის გზის გაყვანა და ნაპირების ქვით გამაგრება. ეს არის ერთად ერთი საიმედო და რადიკალური ზომა.

ამ საქმით დაინტერესებულია საზოგადოება, მთავრობა, რკინის გზა და ტყის კომიტეტი, ამიტომ საერთო ღონისძიებით უნდა გაკეთდეს ეს აუცილებელი საქმე.

განზრახულია გაყვანა სარწყავი არხების, რომელიც მორწყავს მდინარის ახლო-მახლო მდებარე სავანე მინდვრების რამოდენიმე ათეულ ათას ქცევა მიწას.

ჟორა ფრანგიშვილი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— პარტიის გაწმენდის მე-4 რაიონული კომისია აცხადებს, რომ ხუთშაბათს საღამოს 5 საათზე თბილისის კომიტეტის ქალთა განყოფილების შენობაში (რუსთაველის პროსპ. 22) დანიშნულია სხდომა მე 4 რაიონის ყველა წევრთა და კანდიდატთა გასაწმენდათ, რომელნიც რაიმე მიზეზის გამო არ გატარებულან წმენდაში. ამხანაგები, რომელნიც არ გამოცხადდებიან აღნიშნულ სხდომაზე, მექანიკურად გამოირიცხებიან.

— თბილისის სამეცნიერო ფილოსოფიური მარქსისტული წრე მართავს ოთხშაბათს 13 დეკემბერს, ყოფილი არტისტიული საზოგადოების საკონცერტო დარბაზში ამხ. ნოვიკოვის სახალხო ლექციას თემაზე: „ოქტომბრის რევოლიუცია მარქსიზმის სასამართლოს წინაშე".

მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. დასაწყისი საღამოს 8 საათ. შესვლა ფასიანია, ბილეთი ღირს 15 000 მან. შემდეგი მოხსენება შესდგება ორშაბათს 18 დეკემბერს თემაზე: „მებრძოლი მატერიალიზმი" მომხსენებელია ამხ. დუდუჩავა.

— საქ კომ. პარტიის ტფილისის კომიტეტი პარტიულ დისციპლინის წესით წინადადებას აძლევს პარტიის ყველა წევრებს, რომელნიც ამ ჟამად მუშაობენ, ფინანსიურ დარგში. აგრეთვე იმ პარტიის წევრთ, რომელთაც როდისმე უმუშავნიათ ამ დარგში ან მიუღიათ სპეციალური განათლება ან და მომზადება—გაიარონ არა უგვიანეს 15 დეკემბრისა ტფ. კომიტეტის საღრიცხვო სასტატისტიკო განყოფილების რეგისტრაციაში.

ტფ. კ. მდივნის მაგიერ: **რუბენი.**

განცხადებები

გიორგი და მავრა ოდიშარია უგულითადესი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს, ამხანაგ-მეგობრებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ უდროვოთ გარდაიცვალა მათი ძვირფასი [illegible] სიცოცხლით სავსე

ალექსანდრე კობეშავიძე.

დაკრძალვა ქ. ხონში ხუთშაბათს, 14 დეკემბერს.

(646—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი, ქმარი გიორგი აფხაზავა, ძმა გრიგოლ ვართანოვი, დები ნადია და სათენიკ თავიანთი შვილებით, სიძე მოსეს ხითაროვი, რძალი შუშანიკ შვილით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობრებს მათთვის უძვირფასეს საყვარელ

ნინო (ნინა) ვართანოვი-აფხაზავას

ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე 5 საათზე. დასაფლავების დღე დანიშნულია 13 დეკემბერი, დილით 11 საათი. გამოსვენება ელისაბედის ქ. № 126. სახლიდან პლეხანოვის ქუჩით მხვთისმშობლის ეკლესიაში. წირვის გადახდის შემდეგ დაკრძალვა მოხდება ხოჯევანქის სასაფლაოზე.

(645—1—1)

სახელმ. აკადემ. თეატრი ოპერა.

კასსა ღიაა 11—3 ს. და საღამ. 6 წარმოდგენის დამთავრებამდე

დღეს, 13 დეკემბერს

რიგოლეტტო

ხუთშაბათს, 14 დეკემბერს

კარმენი

დასაწყისი სრულ 8 საათზე

მე-3 ზარის შემდეგ დარბაზში შესვლა აკრძალულია.

(კრ. 707—1—1)

მილიციის გაწმენდისათვის

პირველი სარაიონო კომისია აცხადებს, რომ მე-11, 12 რაიონების მილიციის გაწმენდა სწარმოებს ნამალადევის თეატრის ბინაზე დღის 3 საათიდან.

მესამე საუბნო კომისია აცხადებს, რომ მილიციის გაწმენდა მე-5, 6 და 7 უბნებში სწარმოებს «ტიურსკის დრამის» თეატრის ბინაზე (აბანოების ქ. № 6) საღამოს 5 საათიდან ყოველ დღე.

კომისია სთხოვს ყველა მოქალაქეს, მიაწოდოს მას საჭირო ცნობები ყველა იმ თანამშრომლებზე, რომელნიც თავიანთ საქციელით ჩრდილს სცხებენ ან ხელს უშლიან მუშურ-გლეხურ მილიციას.

განცხადებები მესამე სარაიონო კომისიის წევრების მიერ მიიღება მესამე რაიკომის ბინაზე (კახეთის ქ. № 1) ყოველ დღე დილის 11 საათიდან საღამოს 6 საათამდე, და პირველ რაიონულ კომისიის მიერ კი პირველ რაიკომის ბინაზე (ჩერქეზოვის № 145) დილის 11 საათიდან საღამოს 6 საათამდე.

გაწმენდის დროს ყველას შეუძლია დასწრება.

1-ლ და მე-3 მილიციის გამწმენდი კომისია ტფილისის მე-5, 6, 7, და 11—12 რაიონების.

(1—1)

საქართველოს სოციალისტ. საბჭოთა რესპუბლიკის

მილიციის რიგების გამწმენდ ცენტრალური კომისია

იუწყება, რომ ქალაქ ტფილისის მილიციის სამმართველოს და სისხლის სამართლის მიების მილიციის სამმართველოს თანამშრომლების გაწმენდა ხდება ყოველ დღე საღამოს 5 საათიდან.

ყველა მოქალაქეს შეუძლია დაესწროს გაწმენდის დროს

მასალები და საჩივრები მიიღება ცენტრალურ კომისიაში შემდეგი მისამართით: შინაგან საქმეთა კომისარიატი ოთახი № 13 ტელ. № 17—1.

მილიციის გამწმენდ ცენტრალური კომისია.

ვ. კიკნაძე, ა. გართაპეტიანი.

(715—1—1)

უმ. სამეურნეო საბჭოს სახელმწიფო ღვინის ტრესტი

ავჭალის ამხ. ლენინის სახელობის შუშეულობის ქარხანამ

დაიწყო მუშაობა

და ამზადებს ნახევრად თეთრი მინიდან სხვა და სხვა

ფორმის ბოთლებს.

არის დამზადებული ბოთლები:

1/40—კონიაკის და არაყის;

1/20—კონიაკის;

1/100—1/200 სამონოპოლიო არაყის

მიიღება—შეკვეთა ხარისხოვან ჭურჭლეულობაზე

შეკვეთები მიიღება უმ. ს. ს. სახელმწიფო ღვინის ტრესტში სასახლის ქ. № 6

(691—5—4)

ყოფ. გიმნაზ. გამგე, დამაარსებელი და ტეხნიკუმის მათემატიკის მასწავლებელი ი. მაჩაიძე

იძლევა გაკვეთილებს

მათემატიკაში—უმაღლეს (შეჯიბრებითი გამოცდებზე) ტეხნიკუმში და შრომის სკოლაში შესასვლელად. პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 25 და 5.-ნახვა 9—12 საათ. და 3—6 საათამდე. (647—2—1)

ელექტრონის, რენტგენის და სინათლის

სამკურნალო

საწოლი ოთახებით

დაარსებული

მიხეილ გედევანიშვილის მიერ

განაგრძობს ავადმყოფების მიღებას.

თბილისი, კორღანოვის ქუჩა № 20, ტელ. 7—91.

304—25—21)

დოკტორი **გ. მეგრაბიანცი**

„ასისტენტი ბერლინის უნივერსიტეტის კლინიკებისა"

შინაგანი და ვენერიული ავათმყოფობისა. რენტგენის სინათლის—ელექტრონის წამლობის კაბინეთი.

დღეებს 9—12 ს. დღის და 5—7 ს. საღ.

ბებუთოვის ქუჩა № 23. 634 25—8

ქ. ტფილისის მე-2 რაიონის სახ. მოსამართლე

ამა წლის 27 ივნისის დადგენილების შესასრულებლად დაამტკიცა ნოტარიალური სასულიერო ანდერძი გარდაცვალებულ სოფიო ზაქარიას ას ტერ-სტეფანოვის.

(648—1—1) სახალხო მოსამართლე მარ ჩხეიძე.

დაიკარგა პირადობის მოწმობა მოცემული სოფ წესის (რაჭის მაზრა) კომისარის მიერ სპირიდონ ჯავ ძე ნატროლაძის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. (1—1)

ტირაჟი 10.000 ს. ს. დ. დ.

საქართველოს სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პოლიგრაფიულ განყოფილების მე-2 სტამბა კრუზენშტერნის ქ. № 4.